პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 82 (9858) | სამშაბათი, 6 აპრილი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ (1-ლი გვერდი).

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის (1-ლი გვერდი).

სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები (მე-2 გვერდი).

საგაზეთო თემაზე. — უკეთ გავაშუქოთ პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა ცუდად მუშაობს (მე-2 გვერდი).

მშენებლები დუ მნგრეველები?! (მე-3 გვერდი).

ბიბლიოგრაფია. — „რუსეთი [illegible] (მე-3 გვერდი).

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის 31 მარტის ნოტაზე საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევების ფართო პროპაგანდისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა და ორგანიზატორთა მოწინავე გამოცდილების, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ დაწესებულებათა მიღწევების რაც შეიძლება მალე დანერგვისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

1. გაიხსნას მუდმივმოქმედი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ქალაქ მოსკოვში 1954 წლის 1 აგვისტოს.

2. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიენიჭოთ:

ა) კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სატყეო მეურნეობებს და სასოფლო რაიონებს, რომლებმაც მიაღწიეს გამოფენის მონაწილეთათვის დაწესებულ მაჩვენებლებს მემცენარეობასა ან მეცხოველეობაში და შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჩაბარებისა და მტს-ის მუშაობისათვის ნატურასაზღაურის ვალდებულებანი;

ბ) მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებს, რომლებმაც მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ან მეცხოველეობის პროდუქტიულობის მათთვის დაწესებულ მაჩვენებლებს იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მომსახურებას უწევენ, უზრუნველყვეს, რომ კოლმეურნეობებს შეესრულებინათ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჩაბარების და მტს-ის მუშაობის ნატურასაზღაურის ვალდებულებანი, შეასრულეს ძირითად სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით დაწესებულ ვადებში და არ გადაუჭარბებიათ სამუშაოთა საგეგმო თვითღირებულებისათვის;

გ) კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებს, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებებს, პირუტყვის გასასუქებელ პუნქტებს, სახელმწიფო ჯიშსაშენებსა და ცხენსაშენებს, ცხენსაშენთა საჯინიბოებს, იპოდრომებს, საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურებს, მეფრინველეობის ფაბრიკებს, ვეტერინარულ უბნებს, სამკურნალოებსა და ლაბორატორიებს, ელიტური მეთესლეობის მეურნეობებს, სასწავლო და საცდელ მეურნეობებს, ბიოფაბრიკებს, წყალთა მეურნეობის ორგანიზაციებს, სასოფლო-სამეურნეო სარემონტო სახელოსნოებსა და ქარხნებს, სასოფლო ელექტროსადგურებს, საწარმოთა და დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობებს, სატყეო, ვენახის, ხეხილისა და თუთის სანერგეებს, მეთევზეობისა და მონადირეთა მეურნეობებს და საშენებს, ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა ორგანიზაციებს, თუ მიაღწიეს მათთვის დაწესებულ მაჩვენებლებს;

დ) სასოფლო-სამეურნეო და სატყეო სასწავლებლებს, რომლებმაც უზრუნველყვეს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს, სასელექციო და საცდელ სადგურებს, საცდელ მინდვრებსა და პუნქტებს, სახელმწიფო ჯიშსაცდელ ნაკვეთებს, რომლებსაც აქვთ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ფართო პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული მიღწევები, აგრეთვე წარმატებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდასა და დანერგვაში;

ე) ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელ სკოლებსა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებს, რომლებსაც აქვთ წარმატებანი მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენების საფუძველზე კვალიფიციურ მუშაკთა მომზადებაში;

ვ) ქარხნებსა და საამქროებს, რომლებიც სოფლის მეურნეობისათვის ამზადებენ ტრაქტორებს, ავტომობილებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ძალდანადგარებსა და სათადარიგო ნაწილებს, მინერალურ სასუქებს, შხამქიმიკატებსა და ნავთობპროდუქტებს, აგრეთვე საკონსტრუქტორო ბიუროებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და მათ ლაბორატორიებს, რომელნიც მონაწილეობას იღებენ აღნიშნული პროდუქციის წარმოებაში და საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ მუშაობაში.

3. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიენიჭოთ:

ა) კოლმეურნეებს, მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურთა, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო სარემონტო სახელოსნოებისა და ქარხნების, წყალთა მეურნეობის ორგანიზაციების, მეფრინველეობის ფაბრიკების, პირუტყვის გასასუქებელი პუნქტებისა და სხვა მეურნეობათა მუშაკებს, რომლებმაც მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის და მანქანების წარმადობის მათთვის დაწესებულ მაჩვენებლებს;

ბ) კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურთა დირექტორებს, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობების, მეფრინველეობის ფაბრიკების, პირუტყვის გასასუქებელი პუნქტებისა და სასოფლო-სამეურნეო სარემონტო და მექანიკური სახელოსნოების დირექტორებსა და მათს მოადგილეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ნავთობის მეურნეობათა გამგეებს, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებებისა და ფერმების მმართველებს, მეცხოველეობის ფერმებისა და საფუტკრეების გამგეებს, კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობათა სპეციალისტებს — აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, ვეტერინარ ექიმებსა და ვეტერინარ ფერშლებს, სატყეო და წყალთა მეურნეობის სპეციალისტებს, ინჟინერ-მექანიზატორებსა და მექანიკოსებს, ინჟინრებსა და ტექნიკოს მშენებლებს, რომლებმაც თავიანთი მუშაობით უზრუნველყვეს მეურნეობათა მონაწილეობა გამოფენაზე;

გ) აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, ვეტერინარ მუშაკებს, ინჟინერ-მექანიზატორებს, მელიორატორებს, აგროსატყეო მელიორატორებს და სოფლისა და სატყეო მეურნეობის სხვა სპეციალისტებს, რომელნიც მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში, სამინისტროთა განყოფილებებსა და სამმართველოებში, მეცნიერ მუშაკებსა და პრაქტიკოსებს, რომლებიც თავიანთი მუშაობით ამდიდრებენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებას, ფართოდ ნერგავენ მოწინავე გამოცდილებას და ეხმარებიან კოლმეურნეობებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებს წარმატებით შეასრულონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები — სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების ამოცანები და ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას;

დ) მუშებს, ოსტატებს, გამომგონებლებს, კონსტრუქტორებს, მანქანათა კონსტრუქციების ავტორებს, საამქროების, ქარხნების, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სამინისტროთა სამმართველოების ინჟინერ-ტექნიკურ და ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებიც თავიანთი მუშაობით ხელს უწყობენ მოწინავე ტექნიკით სოფლის მეურნეობის აღჭურვას, სასუქებით, შხამქიმიკატებითა და ნავთობპროდუქტებით მის უზრუნველყოფას და მაღალი მაჩვენებლები აქვთ მუშაობაში;

ე) ნორჩ ნატურალისტებსა და ნორჩ ტექნიკოსებს მათთვის დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით.

4. დამტკიცდეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილება „1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა შესარჩევად მაჩვენებლებისა და პირობების შესახებ საუღლოდ 1952-1953 წლების მუშაობის შედეგთა მიხედვით და 1955 წლის გამოფენისათვის 1954 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით“.

უფლება მიეცეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარ კომიტეტს განიხილოს და დამატებით დაამტკიცოს გამოფენის მონაწილეთა შერჩევისათვის მაჩვენებლები და პირობები იმ კულტურებისა და ცალკეული დარგების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებული არ არის გამოფენის მთავარი კომიტეტის აღნიშნულ დადგენილებაში და, გამონაკლისის სახით, დაამტკიცოს 1954 წლის გამოფენის მონაწილენი 1952 წლის ან 1953 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით, იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია ამ დადგენილებით.

დაწესდეს, რომ კოლმეურნეებს, მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურთა, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობების, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკებს და სოფლის მეურნეობის სხვა მუშაკებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, რომლებმაც 1952 და 1953 წლებში მიიღეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით სოფლის მეურნეობის განვითარებაში მაღალ მაჩვენებელთა მიღწევისათვის, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებად ამტკიცებენ მათ მიერ მიღწეული მაჩვენებლების მიხედვით.

5. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა წასახალისებლად, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სასუქების, შხამქიმიკატებისა და ნავთობპროდუქტების გამოყენებისა და წარმოების საქმეში, დაწესდეს შემდეგი ჯილდოები და პრემიები, რომლებსაც ყოველწლიურად მიაკუთვნებს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტი:

ა) სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სხვა მეურნეობებისა და ორგანიზაციებისათვის — 1.000 პირველი ხარისხის დიპლომი და 3.000 მეორე ხარისხის დიპლომი. პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოებულნი იმავე დროს იღებენ პრემიას — სატვირთო და მსუბუქ ავტომობილებს, მეორე ხარისხის დიპლომით დაჯილდოებულნი იმავე დროს იღებენ პრემიას — სატვირთო ავტომობილს.

გარდა ამისა, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სხვა მეურნეობების წასახალისებლად, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, დაწესდეს პრემიები შემდეგი რაოდენობით: 200 კომპლექტი ავტოსარწყულებელი, 200 კომპლექტი ელექტროსაწველი აგრეგატი, 500 კომპლექტი ქარძალის დანადგარი, 500 რადიოსატრანსლაციო დანადგარი, 500 კომპლექტი კინოდანადგარი და 500 საკოლმეურნეო ბიბლიოთეკა;

ბ) კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისათვის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისათვის, სხვა მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეებისათვის, აგრეთვე სოფლისა და სატყეო მეურნეობის მოწინავეების, სპეციალისტებისა და ორგანიზატორების და მრეწველობის მუშაკებისათვის, რომელნიც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობენ: 1.500 დიდი ოქროს მედალი, 3.500 პატარა ოქროს მედალი, 10.000 დიდი ვერცხლის მედალი, 25.000 პატარა ვერცხლის მედალი.

გარდა ამისა, სოფლისა და სატყეო მეურნეობის მოწინავეთა და მრეწველობის მუშაკთა წასახალისებლად, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, დაწესდეს პრემიები შემდეგი რაოდენობით: 300 მსუბუქი ავტომობილი „პობედა“, 2.000 მოტოციკლი, 3.000 ველოსიპედი, 2.500 საკერავი მანქანა, 5.000 რადიომიმღები, 7.000 მაჯისა და ჯიბის საათი.

6. დაწესდეს, რომ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ყველა მონაწილე დაჯილდოებულ იქნება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილის მედლით და ეძლევა მოწმობა გამოფენაში მონაწილეობის შესახებ.

7. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მომზადების მუშაობის ხელმძღვანელობა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში დაეკისროთ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო სასოფლო რაიონებში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის კანდიდატების შესარჩევად და წარსადგენად მუშაობის დამთავრების ვადად დაწესდეს 1954 წლის 15 მაისი.

8. დაევალოს საბჭოთა, პარტიულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეებს, მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურთა, საბჭოთა მეურნეობებისა და სატყეო მეურნეობების მუშაკებს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მაჩვენებლები და პირობები და სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების, სამრეწველო საწარმოებისა და რაიონების, აგრეთვე კოლმეურნეების, მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურთა, საბჭოთა მეურნეობებისა და სატყეო მეურნეობების მუშაკების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და ორგანიზატორების მასობრივ სოციალისტურ შეჯიბრებას სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოთა კოლექტივების წერილი

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ოცდარვა საწარმოს კოლექტივებმა გადაწყვიტეს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის. ამ საწარმოთა კოლექტივების წერილში ნათქვამია:

„ჩვენ კარგად გვესმის, რომ **სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მთავარი, გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგში.**

ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვით აღფრთოვანებულმა ჩვენი საწარმოების კოლექტივებმა გადაწყვიტეს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის და ამ საფუძველზე მიაღწიონ პროდუქციის გამოშვების გადიდებას, ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას. ჩვენ მტკიცედ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ სახელმწიფო გეგმები მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ, თვითეული საწარმო და საამქრო რიტმულად მუშაობდეს, მივაღწიოთ წარმოების მაღალ კულტურას, დავნერგოთ მეცნიერების მიღწევები და ნოვატორების მოწინავე გამოცდილება“.

გამოიანგარიშეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, საწარმოთა მუშაკებმა კრებებზე განიხილეს და მიიღეს ახალი ვალდებულებანი.

კომბინატ „მოსკვოუგოლის“ ტრესტ „სტალინოგორსკუგოლის“ კოლექტივმა გადაწყვიტა წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, მანქანებისა და მექანიზმების უკეთესი გამოყენების გზით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება 1954 წელს 4,2 პროცენტით გეგმასთან შედარებით და 7 პროცენტით 1953 წელს ფაქტიურად მიღწეულთან შედარებით. შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების საფუძველზე ქვანახშირის საშუალო სადღეღამისო ამოღება გაადიდოს და სახალხო მეურნეობას გეგმის გადამეტებით მისცეს ათეულ ათასობით ტონა სათბობი.

სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშაკებმა იკისრეს შრომის ნაყოფიერება წელს 1953 წელთან შედარებით გაადიდონ სულ ცოტა 7 პროცენტით, სამუშაო დროის დანაკარგი შეამცირონ 30 პროცენტით; დანერგონ 1.500 ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიება და რაციონალიზატორული წინადადება. შრომის მოწინავე მეთოდები შეასწავლონ სულ ცოტა 6 ათას მუშას, კვალიფიკაცია აუმაღლონ 1.200 ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს; 30 პროცენტით შეამცირონ წუნი სამსხმელო და მოსამზადებელ საამქროებში.

ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის პირველ საკისრის ქარხანაში მიღებულია გადაწყვეტილება წელს შრომის ნაყოფიერება შარშანდელთან შედარებით გაადიდონ 6,4 პროცენტით; ოთხნახევარ წელიწადში შეასრულონ ხუთწლიანი გეგმით მოცემული დავალება შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში. ამის მიღწევა დასახულია დამუშავების ჩქაროსნული რეჟიმების, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვით, ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ დანერგვით.

საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულოს 20 დეკემბრისათვის; შრომის ნაყოფიერების გადიდების 1954 წლის გეგმა შეასრულოს 4 პროცენტის გადაჭარბებით და 1953 წელთან შედარებით 8,2 პროცენტით — ასეთი ვალდებულება იკისრა ლიუბერცის უხტომსკის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის კოლექტივმა.

ნიჟნი კოტელსკის აგურის ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა აგურის სადღეღამისო გამოშვება ერთი ტექნოლოგიური ხაზიდან აიყვანოს 125 ათას ცალამდე; მიაღწიოს ღუმელის არხის ერთ კუბურ მეტრზე 2.500 ცალი აგურის აღებას; მაღალი მარკების აგურის გამოშვება გაადიდოს 5 პროცენტით.

ორეხოვოს ნიკოლაევას სახელობის ბამბეულის კომბინატის კოლექტივმა იკისრა ვადამდე შეასრულოს 1954 წლის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვას 30 მილიონი მანეთის პროდუქცია. გადაწყვიტა შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 1953 წელთან შედარებით 7,6 პროცენტით, პირველხარისხოვანი ქსოვილები გამოუშვას ერთი პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან.

ტრესტ „მოსჟილსტროის“ მშენებლებმა გადაწყვიტეს მშენებლობის ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდების დანერგვით, მექანიზაციის შემდგომი ამაღლებით და მოწინავე, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვით შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 11 პროცენტით 1953 წელს ფაქტიურად მიღწეულთან შედარებით, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეამცირონ 7 პროცენტით.

მოსკოვ-კურსკ-დონბასის რკინიგზის მოსკოვის განყოფილების რკინიგზელებმა ვალდებულება იკისრეს დატვირთვის სახელმწიფო გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულონ.

შატურის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროსადგურის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა არსებული ტურბინ-გენერატორების სიმძლავრის გადიდების, აგრეგატების ავტომატიზაციისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის გზით მოწყობილობის მომსახურების ზონის გაფართოებით ექსპლოატაციის პერსონალის შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 3 პროცენტით 1953 წელთან შედარებით.

კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე კოლომნის კუიბიშევის სახელობის ორთქლმავალმშენებელი ქარხნის, კლიმოვსკის მანქანათმშენებელი ქარხნის, დმიტროვის საექსკავატორო ქარხნის, ცემენტის ქარხანა „გიგანტის“, კუპავინოს წმინდა მაუდის ფაბრიკის, ფაბრიკა „განთავისუფლებული შრომის“ და სხვა საწარმოების კოლექტივებმა.

„ჩვენ მოვუწოდებთ ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობათა ყველა მუშაკს, — ნათქვამია წერილში, — უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1954 წლის სახელმწიფო გეგმის ყველა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის“.

თუმანიანელები რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას ესტუმრა სომხეთის დაბა თუმანიანის ცეცხლგამძლე აგურის ქარხნის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ქარხნის მოწინავე მექანიკოსი ნ. სტეფანიანი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ქარხნის წარჩინებული ადამიანები მწნეხავი ვ. აბაზიანი, გამომწველი ვ. ნავასარდიანი, ინჟინერი მარიამ როგაჩი და სხვები.

მოძმე სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციამ დაათვალიერა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქი. ფოლადსადნობ საამქროში დელეგაციის წევრები გაეცნენ მათი ქარხნის კოლექტივის მიერ დამზადებული აგურის გამძლეობას.

სომეხ მეაგურეთა ჩამოსვლის მიზანია რუსთავის მეტალურგებთან განაახლონ სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა გასული წლის დამდეგს.

ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის დაბაში

სვერდლოვსკი, 3 აპრილი. (საკდესი). იზრდება და მშვენდება ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის დაბა. უკვე მეხუთე ხუთწლედის მანძილზე აქ აშენდა ლამაზი მრავალსართულიანი სახლების მთელი უბნები. უკანასკნელ სამ წელიწადში დაბის ახალ შენობებში გაიხსნა 17 მაღაზია, მათ შორის რამდენიმე სპეციალიზებული მაღაზია. ახლა დაბაში არის 50-ზე მეტი დიდი მაღაზია, ამდენივე კიოსკი და ფარდული, აგრეთვე სასადილოების, კაფეების, რესტორანებისა და ბუფეტების ფართო ქსელი.

სწრაფად იზრდება მაღაზიების საქონელბრუნვა. მარტო პროდუქტების მაღაზიებმა პირველ კვარტალში გაყიდეს თხუთმეტ მილიონ მანეთისაზე მეტი საქონელი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში იყო რეალიზებული.

განუწყვეტლივ იზრდება მოთხოვნილება მაღალხარისხოვან საქონელზე. დასახულია წელს დაბაში გაიხსნას კიდევ 19 მაღაზია, მათ შორის 14 სპეციალიზებული — ფეხსაცმლის, წიგნის, კონსერვირებული ბოსტნეულის, საკვები კონცენტრატების, ყვავილებისა და სხვ. მაღაზიები.

დარბაზობა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ა. სკლადანმა 1954 წლის 4 აპრილს დარბაზობა გამართა უნგრეთის ეროვნული დღესასწაულის — განთავისუფლების მეცხრე წლისთავის გამო.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. საფრონოვი, სსრ კავშირის მინისტრები ი. გ. კაბანოვი, ს. ა. აკოფოვი, დ. ფ. უსტინოვი, ნ. ა. დიგაი, ბ. ბ. ბეშჩევი, ს. ა. შაშკოვი, ვ. ბ. ზოტოვი, ა. გ. ზვერევი, ვ. გ. ევგორონკოვი, გ. თ. ალექსანდროვი, ვ. პ. ელიუტინი, კ. პ. გოროშენინი, ლ. რ. კორნეიცი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ა. ვოლინი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონნი, რუსეთის სფსრ მინისტრები ი. ა. კაიროვი, ნ. მ. ვასალიევი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ს. ა. ბორისოვი, პ. ნ. კუმიკინი, ნ. ს. კახაკოვი, ტ. ბ. მიტროხინი, პ. ი. პარშინი, ს. ვ. კაფტანოვი, ვ. ა. ზორინი, მ. რ. კუზმინი, ვ. ნ. სტოლეტოვი, საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ა. გერასიმოვი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი კრუტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტი ნიკოლოზი, არმიის გენერლები გ. კ. მალანდინი, ვ. ვ. კურასოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ბ. გალიცკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოსკოვის საწარმოთა წარმომადგენლები, მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა და უცხოეთის პრესის კორესპონდენტები.

სტუმართ შორის დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები: ირანის — ნ. არესტე, ბირმის კავშირის — მ. ონი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის — ჯან ვენ-ტიანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის — ლიმ ხე, ბელგიის — ა. უოტერსი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის — ნგუენ ლონგ ბანგი, იტალიის რესპუბლიკის — მ. დი სტეფანო, საფრანგეთის — ლ. ჟოკსი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის — ვ. ლევკოვსკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის — ი. ვოშაგლიკი, არგენტინის — ლ. ბრავო, ამერიკის შეერთებული შტატების — ჩ. ბოლენი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის — დ. ვიდიჩი, დიდ ბრიტანეთის — უ. ჰეიტერი, მექსიკის — ა. როზენცვეიგ დიასი, ავღანეთის — გ. ტარზი, კანადის — დ. უოტკინსი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის — კ. ლუკანოვი, ნორვეგიის — ე. ბრიდლანდი; საგანგებო დესპანები და სრულუფლებიანი მინისტრები: ლუქსემბურგის — რ. ბლუმი, ტაილანდის — შ. სრესტაპუტრა, შვეიცარიის — ე. დე ჰალერი, ისლანდიის — პ. ტორსტეინსონი, ისრაელის სახელმწიფოს — ს. ელიაშივი; საქმეთა დროებითი რწმუნებულები: ლიბანის — ა. ნაჟარი, სირიის — ა. აზხარი, პაკისტანის — მ. ს. ა. ბეიგი, ავსტრალიის — ბ. ჰილი, თურქეთის — დ. ტუნალიგილი, ერაყის — ო. ელ აანი, ფინეთის — რ. ენკელი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის — კ. ზაიცი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის — ნ. ლუვსანჩულტემი, შვეიცარიის — ს. ეიღერ-შელპინი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის — შ. დუკუ და მოსკოვში აკრედიტებულ საელჩოთა და მისიათა თანამშრომლები.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ა. სკლადანმა და ვ. მ. მოლოტოვმა ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს.

დარბაზობამ გულთბილობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები

★

მაღალმთიანი კოლმეურნეობა გაზაფხულის დღეებში

მშვენიერი სანახავია გაზაფხულის დღეებში შუახევის რაიონის მაღალმთიანი სოფელი ჭვანა.

ამ სოფლის ბაღები, პლანტაციები, ვენახები ეკუთვნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. იგი წლითიწლობით ზრდის მოსავლიანობას, აფართოებს ვენახის, ჩაის, თამბაქოს და სიმინდის ნათესებს. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობამ ვენახის კულტურა გააშენა. შარშან 3 ჰექტარი სრულმოსავლიანი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 70 ცენტნერის ნაცვლად 100,2 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს. რგოლის ხელმძღვანელმა ზ. ამაღლობელმა და მისმა მეუღლემ ა. ამაღლობელმა უხვი მოსავალი მოიყვანეს.

ჭვანელებმა უკანასკნელ წლებში ახალი კულტურა — ჩაი 5 ჰექტარზე გააშენეს. ამ კულტურამ აქ კარგად გაიხარა. სოფელში ბევრი მოწინავე ადამიანია. მათ შორის არიან მეთამბაქოე ფერიდე მგელაძე, მევენახეები მ. ამაღლობელი, მ. ბეჟანიძე, ფ. ქათამაძე, ე. მიქელაძე, ბრიგადირები ხ. მგელაძე, მ. ქათამაძე და სხვები.

გაცხოველებით მიმდინარეობს ვენახის ახალი პლანტაციის გასაშენებლად ნიადაგის მომზადება, ვენახის გასხვლა და გაწმენდა. ჭვანის საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები. ჭვანელები წელს გეგმით გათვალისწინებული 2 ჰექტარის ნაცვლად ვენახს სამ ჰექტარზე გააშენებენ. 25 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან 15 ჰექტარს კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესავენ. დასარგავად მზადდება მაღალხარისხოვანი თამბაქოს ჩითილი.

ჭვანელები პირობას იძლევიან მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვითა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა განუხრელად განხორციელებით წელს საშუალოდ ჰექტარზე 120 ცენტნერი ყურძენი მოიყვანონ, კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 30-40 ცენტნერი მოსავალი, ხოლო დანარჩენ ფართობზე საშუალოდ 20 ცენტნერი, თამბაქოს პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე ნაცვლად 16,5-სა მოიყვანონ 20 ცენტნერი.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თამბაქოს უხვი მოსავლისათვის

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). გასული წლის მიღწევებით არ კმაყოფილდებიან სოფელ კალინოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოეები. მათ კარგად იციან, რომ მიმდინარე წლის ბარაქიანი მოსავლის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა თამბაქოს რგვიანთვის სანიმუშოდ მომზადება. ამიტომ მათ მზრალად მოხნული აქვთ 55 ჰექტარი ფართობი. დროულად მოემზადნენ რა თამბაქოს ჯანსაღი ნერგის გამოსაყვანად, მათ ცივ და ნახევრადთბილ სათბურებში თამბაქო დათესეს 1.200 კვადრატულ მეტრზე, შეასრულეს აგრეთვე ღია კვლებში თამბაქოს თესვის გეგმა.



ხეხილის ბაღების მექანიზებული წესით შეწამლვა გორის რაიონის ახალსოფლის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში. სურათზე: წინა პლანზე ტრაქტორისტი ა. კაჯილაშვილი.
ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

★

მივაწოდოთ მოსახლეობას მეტი ხილი და ყურძენი

მნახველის თვალსა და გულს ახარებს დიმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კარგად მოვლილი ბაღ-ვენახები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა საპასუხოდ დიმელმა მევენახეებმა და მეხილეებმა ვალდებულება იკისრეს ვენახის მთელი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 80 ცენტნერი ყურძენი და 40 ცენტნერი ხილი.

ყურძნისა და ხილის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა აქ ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომიდანვე გააჩაღეს. ვენახისა და ხეხილის ბაღის თვითეულ ჰექტარზე მოხვნის დროს ორგანული და მინერალური სასუქები შეიტანეს, კარგად დაამუშავეს ნიადაგი, მოიმარაგეს მავნებელთა საწინააღმდეგო შხამქიმიკატები. შეაკეთეს წვრილი ინვენტარი და შესაწამლი აპარატები.

ამასთან დარგეს 1.200 ძირი ხეხილი და 20 ათასი ძირი ვაზი, რითაც 40 ჰექტარ ვენახში მთლიანად აღმოფხვრეს მეჩხერიანობა. ვაზის გადაწვენა და გამორგვა გრძელდება. მეჩხერიანობის ლიკვიდაციის საქმეში ყველაზე კარგი მაჩვენებლები აქვს მეორე განყოფილებას (უფროსი ამხ. მ. ჭეიშვილი), რომელმაც დავალება 150 პროცენტით გაანაღდა.

ხელსაყრელი ამინდის დადგომისთანავე დიმელელებმა გაორკეცეს ბაღებსა და ვენახებში მუშაობის ტემპი. დაამთავრეს ნიადაგის აოშვა, ბაღებისა და ვენახების გასხვლა, გასუფთავება, ხეხილის ძირების შემობარვა, წესრიგზე მოიყვანეს სარმავთული, დასასრულს უახლოვდება ვაზის მავთულზე დაკავება და ვენახის მორწყვა. წარმატებით მოეწყო ბორდოს ხსნარით ხეხილის საგაზაფხულო შეწამლვა და ნიადაგის მინერალური სასუქებით გამოკვება.

საბჭოთა მეურნეობის შესასვლელიდან მუშათა საცხოვრებელ სახლებამდე ფართო გზის ორივე მხარეს ეწყობა ვაზის ხეივანი, რომელიც კიდევ უფრო დაამშვენებს მეურნეობის ტერიტორიას და სრული მსხმოიარობის დროს 8 ტონამდე ყურძენს შემატებს მეურნეობას.

დიმის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი გაცხოველებით ემზადება მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის — 1 მაისის ღირსეულად შეხვედრისათვის, ძალებს არ იშურებს, რათა ამ თარიღს ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდეს. შეჯიბრების პირველ დღეებში დაწინაურდა ის განყოფილება, რომლის უფროსია ს. ჩიხლაძე. მევენახეები ლ. ნოზაძე, ი. ლაზუაშვილი, ი. გაბოძე, ა. ხრამოვი, მ. თეთრაშვილი, ვ. აბუაშვილი, ე. დავითაშვილი, ქ. სულთანიშვილი, ე. მაისურაძე, კ. ტეგუდაშვილი, შ. ალნიაშვილი და სხვები დაჟულალავად იბრძვიან ჰექტარზე 15-20 ტონა ყურძნის მისაღებად.

მეურნეობის მუშებსა და სპეციალისტებს შრომისა და დასვენების ყველა პირობა აქვთ შექმნილი. ისინი უზრუნველყოფილი არიან ლამაზი, ნათელი ბინებით, დამხმარე სათავსოებით. ყველა საცხოვრებელი სახლი ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია, მოწყობილია ბავშვთა ბაღი და ბაგა, 4-წლიანი სკოლა, კლუბი, სამკითხველო, აბანო, კოოპერატიების მაღაზია, პურის საცხობი, საპარიკმახერო.

ყოველივე ამასთან ერთად მეურნეობას მუშაობაში აქვს ნაკლოვანებანიც. ჩამორჩება ვაზის მყნობა, ყველა განყოფილებას საკმაო რაოდენობით არა აქვს შესაწამლი მოწყობილობა და სხვ.

დიმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს (დირექტორი ამხ. დ. სანაძე, უფროსი აგრონომი ამხ. ა. ხუციშვილი) ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ მშრომელთა სუფრას წელს მისცეს მეტი ხილი და ყურძენი, საქმით უპასუხოს საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიმართვას სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. თვითეული საბჭოთა მეურნეობის სანიმუშო მეურნეობად გადაქცევისათვის.

ბ. ხენგავა.

★

კარგოფილის თესლს ახლა დაეძებენ

ქარელის ბარაქიან ველზე მძლავრი ტრაქტორები აგუგუნდნენ. მეტ წილ კოლმეურნეობებში წარმატებით გააჩაღეს ხვნა-თესვა, მინდვრად ნაკელის გატანა, ჯეჯილის გამოკვება და სხვა სამუშაოები.

მარტო რუისის მტს-იდან ხვნა-თესვაზე მუშაობს 10 ტრაქტორი. მექანიზატორთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი დღეებიდანვე დაწინაურდა ს. მღებრიშვილის ბრიგადა, რომელმაც უკვე დათესა 45 ჰექტარი.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები გაჩაღდა აგარის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებშიც. ტრაქტორისტი ი. მიქელაძე მტს-ში პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შემდეგ დაბრუნდა. მან პირველმა დაიწყო მტს-ში საგაზაფხულო ხვნა და „დტ-54“ მარკის ტრაქტორით ექვს დღეში 50 ჰექტარი მოხნა.

საგაზაფხულო სამუშაოების დაწყების პირველ დღეებში ნაკლოვანებებიც გამოვლინდა. სოფელ ბებნისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ბაზოვი) დასათესად გაიტანა ქერის დაბალხარისხოვანი თესლი. სოფელ ურბნისის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტმა გ. მამესწარაშვილმა ხუთი ჰექტარი ისე დათესა, რომ წინასწარ კულტივაცია არ მოუხდენია.

სოფელ ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. კოპაძე) გაზაფხულს მოუმზადებელი შეხვდა. კოლმეურნეობას სოფლმომარაგების საწყობიდან მინერალური სასუქი არ გაუტანია, ხოლო დანაკლის 200 ცენტნერ კარტოფილის თესლს ხვნა-თესვის გაცხოველებულ დღეებში დაეძებენ.

განა ასეთი მდგომარეობა დამაფიქრებელი არ არის?

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ხეხილის სანერგეში

ცხაკაიას რაიონის ხეხილის სახელმწიფო სანერგე მეხილეობის განვითარების მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენს. იგი ყოველწლიურად ათასობით ძირ სხვადასხვა ნერგით ამარაგებს ახლო რაიონების კოლმეურნეობებს.

სანერგის კოლექტივი ნაყოფიერად შრომობს დავალებათა შესასრულებლად. 1954 წლის გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე 20 ათასი ძირით მეტი აქვთ ხეხილის სტანდარტული ნერგები, უხვად არის ვაშლის, ქლიავის, ხურმის ნერგიც.

სათანადო მუშაობა მიმდინარეობს ახალი, გაუმჯობესებული ჯიშის ნერგის გამოსაყვანად. მიმდინარე წელს თხილის სანერგე მოეწყო 0,5 ჰექტარზე, ბაღჩა — ორ ჰექტარზე, ბოსტანი — ერთ ჰექტარზე. ხურმას დაამყნობენ 35.000 ძირს, თუთას — 50 ათას ძირს, ვაზს — 200.000 ძირს. გეგმის გარეშე დაირგვება პანტა და მაყალო 2 ჰექტარზე.

ს. კუჭავა.

ფყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა ცუდად მუშაობს

წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც ამუშავდა ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა. პირველ ხანებში ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი გეგმის შესრულებას, შეამცირა ფუჭი ქანის გამოსაყოლიანობა, რის შედეგადაც გაიზარდა მზა პროდუქციის გამოსავალი.

მაგრამ ფაბრიკის კოლექტივმა მოპოვებული მიღწევები ვერ შეინარჩუნა და ზამთრის პირველი დღეებიდანვე მკვეთრად ჩამორჩა. დეკემბრიდან მოყოლებული ქარხანამ ქვანახშირის გადამუშავების ყოველდღიური დავალება მხოლოდ 26-ჯერ შეასრულა. ამაში ბრალი მიუძღვით საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელებს, რომლებმაც ეკონომიის მიზნით ხარჯთაღრიცხვიდან ამოიღეს ფაბრიკის ცენტრალური გათბობისათვის განკუთვნილი თანხა, რის გამო მშენებლები იძულებული გახდნენ შუაგზაზე მიეტოვებინათ გათბობის საშუალებათა მოწყობა. ასევე ეკონომიის მიზნით მშენებლებმა ფანჯრებში ჩასმული მინების კიდეებიც კი არ ამოგლესეს სპეციალური საგზავით. ამან გამოიწვია ქარის დროს მინების მასობრივი ჩამტვრევა. ფაბრიკის მარტო მთავარ კორპუსზე, რომლის სიმაღლე 40 მეტრს აღემატება, ჩაიმტვრა 600-ზე მეტი ფანჯრის მინა. მინების ხელახლა ჩასმა კი ქარხნის დირექციამ ვერ შეძლო. მინებჩამტვრეულ საამქროებში, სადაც გათბობა არ იყო, ზამთარში მილგაყვანილობა სისტემატურად გამოდიოდა მწყობრიდან. ეს იწვევდა საწარმოს გაცდენას, დიდ ხარჯებს.

ქარხანაში მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია საწარმოო კულტურა, სუსტია დისციპლინა. ქარხნის შემოუღობავ საკმაოდ დიდ ეზოსა და საამქროებში უწესრიგობაა, მიყრილ-მოყრილია მანქანათა სათადარიგო ნაწილები, მასალათა ნარჩენები, წარმოების ნაგავი, მოწყობილობა. საამქროს ერთ კუთხეში წყალი და ტალახი დგას და გავლა შეუძლებელია. მექანიზმებს არ უვლიან. რამდენიმე თვეა, რაც დგას ისეთი ძვირფასი მექანიზმი, როგორიც მომხვეტი ტრანსპორტიორია. იგი ნახშირის ფლამითა და ტალახით არის დაფარული, ტრანსპორტიორის კორპუსი დაიჟანგა.

საერთოდ ფაბრიკაში მოწყობილობათა ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს არ იცავენ, დროულად არ ახდენენ მანქანა-დანადგართა მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას. მოწყობილობის შეკეთებას უფრო ხშირად მაშინ იწყებენ, როცა იგი ფუჭდება და მწყობრიდან გამოდის.

ფაბრიკაში შრომის დისციპლინის სისუსტეს მოწმობს შემდეგი ფაქტები: 25 თებერვალს ქარხანაში არ გამოცხადდა ცვლის ინჟინერი ა. ფომინი. არც ცვლის ოსტატი და ცვლის მექანიკოსი მოვიდნენ. ამის გამო ქარხანაში მუშაობის დაწყება 45 წუთით დაგვიანდა. ამ ხნის განმავლობაში ქარხანას ათობით ტონა ქვანახშირის გადამუშავება შეეძლო. დამნაშავეებს კი პასუხი არ მოსთხოვეს.

10 თებერვალს ქვანახშირის გამამდიდრებელი საამქროს მორიგე ელექტროზეინკალმა გ. სვანიძემ უხეშად დაარღვია ელექტრომოტორის ტექნიკური ექსპლოატაციის წესები, ელექტრომოტორი გადაიწვა, რამაც ფაბრიკის მუშაობის რამდენიმე საათს გაადენა. გამოიწვია უდისციპლინობის ასეთი ფაქტების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში ფაბრიკის კოლექტივმა საგრძნობლად შეასუსტა ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლა. მარტო თებერვალში ფაბრიკამ 1.692 ტონა დაბალხარისხოვანი ქვანახშირი გამოუშვა. ეს გამოწვეულია კვალიფიციური კადრების უყოლობით, ქვანახშირის გაუხვეებისას ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევით.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის და ტყიბულქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ფაბრიკას.

ვ. ციბეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ფართოვდება თბილისის ირგვლივ მწვანე ზოლი

თბილისის სატყეო მეურნეობას გადაცემული აქვს ტყის კულტურების ფართობები. ისინი განლაგებულია შავნაბადის მთის აღმოსავლეთი საზღვრიდან, კრწანისის, ფონიკულორის, ბაგების, ყოჯრის, წყნეთის და ლისის ტბის მიდამოების გავლით, სოფელ დიღმის ხევამდე. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ტყის და ხეხილის კულტურები გაშენდა 1.440 ჰექტარზე. აქედან 47 ჰექტარი ტყეპარკი და ნამყენი ხეხილის ბაღები კურორტ წყნეთის მიდამოებშია.

გასული წლის მეოთხე კვარტალში სპეციალური ექსპედიციის მიერ ჩატარებულმა ინვენტარიზაციამ აღნიშნულ მიდამოებში ექვს მილიონამდე ძირი ნარგავი აღრიცხა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული თბილისის გამწვანების გენერალური გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები მტკვრის მარჯვენა მხარეს შესრულებულია 80 პროცენტით.

გასული წლების გამოცდილების გამოყენებით ორთაჭალის, ბაგების, ლისის და სხვა სატყეო მეურნეობათა მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები მთელი ენერგიით შეუდგნენ გამწვანების სამუშაოებს აუთვისებელ ფართობებზე. დღეისათვის ქვედა ზონის — ბაგების, ლისის, ორთაჭალის სატყეო უბნებში საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმა ძირითადად შესრულებულია. ამ ხნის განმავლობაში 48 ჰექტარზე დარგულია 240.000 ძირი ნერგი. მარტო წყნეთის და ლისის ტბის გზატკეცილების მიდამოებში დარგულია 12.000 ძირი 4-5 წლის წიწვიანი და ფოთლოვანი ხეები.

მაღალი ზონის — წყნეთის და კოჯრის მიდამოებში ტყის კულტურების გასაშენებლად გეგმით გათვალისწინებული ფართობი მომზადებული და უზრუნველყოფილია სარგავი მასალით. ეს სამუშაო უმოკლეს ვადაში დამთავრდება.

ა. ჯაფარიძე,
თბილისის სატყეო მეურნეობის დირექტორი.

საგაზეთო თემაზე

უკეთ გავამუქოთ პარტიული ცხოვრება

უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც დასახეს პარტიამ და მთავრობამ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის, ავალებენ პარტიულ ორგანიზაციებს მთელი ძალები გამოიყენონ ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის გასაუმჯობესებლად, აამაღლონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონე, სათავეში ჩაუდგნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლას.

ამ დიდი და პასუხსაგები ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში პარტიულ ორგანიზაციებს გვერდში უნდა უდგნენ გაზეთები.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისადმი დახმარების საქმეში დიდია ჩვენი პრესის ყველაზე შრავალრიცხოვანი რაზმის — რაიონული გაზეთების როლი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დაავალა ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებს ფართოდ გააშუქონ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, საკოლმეურნეო მშენებლობის მოწინავე გამოცდილება და სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დარგში პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის პრაქტიკა.

რაიონული გაზეთების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად ასრულებს პარტიის ამ დავალებას, საქმიანად აშუქებს პარტიული ცხოვრების საკითხებს, რაზმავს რაიონის მშრომელებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

წითელწყაროს რაიონული გაზეთი „ახალი შირაქი“ სისტემატურად ბეჭდავს პარტიული ორგანიზაციების ცხოვრების ამსახველ ცოცხალ, საინტერესო წერილებს, უჩვენებს მოწინავე პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას, აშუქებს სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლას, გამოდის საქმიანი და გაბედული კრიტიკით. „ახალი შირაქი“ დამაჯერებლად, შინაარსიანად უჩვენებს სოფლის პარტიული ორგანიზაციების როლს, მათი მუშაობის გამოცდილებას კოლმეურნეობათა სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ ყველა რაიონულ გაზეთზე ასე როდი ითქმის. ბევრი მათგანი განსაკუთრებით სუსტად აშუქებს პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებას.

რა სახისაა ის ძირითადი ნაკლოვანებანი, რომლებიც აქვთ რაიონულ გაზეთებს ამ დარგში?

ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი ის არის, რომ მთელი რიგი რაიონული გაზეთები პარტიულ ცხოვრებას აშუქებენ კამპანიურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე, კმაყოფილდებიან პარტიული ორგანოების სხდომებისა და თათბირების შესახებ მშრალი ანგარიშების გამოქვეყნებით.

ამ მხრივ დამახასიათებელია კასპის რაიონული გაზეთის „კომუნიზმისაკენ“-ის მაგალითი. რომ არაფერი ვთქვათ პარტიული ცხოვრების შესახებ კანტიკუნტად გამოქვეყნებული წერილების სისუსტეზე, გაზეთს გასული წლის 22 ოქტომბრიდან 6 დეკემბრამდე პარტიულ თემაზე არც ერთი წერილი არ დაუბეჭდავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პარტიის რაიკომის პლენუმების შედეგებზე ზოგადად დაწერილ რამდენიმე ანგარიშს. გაზეთის 6 დეკემბრისა და მომდევნო ნომრებში გამოჩნდა პარტიული ორგანიზაციების საანგარიშოსაარჩევნო კრებებისადმი მიძღვნილი წერილები. მაგრამ დამთავრდა თუ არა ანგარიშგება-არჩევნები, გაზეთმა კვლავ დაივიწყა თავისი მოვალეობა. წერილებს პარტიულ თემაზე იგი ამჟამადაც აქვეყნებს არათანამიმდევრულად.

სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ბევრი რაიონული გაზეთი ძირითადად კმაყოფილდება პარტიული მუშაობის ცალმხრივი გაშუქებით, რითაც აღარიბებს თემატიკას. ასე ექცევა, მაგალითად, ქლუხორის რაიონული გაზეთი „განთიადი“. გაზეთში მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში პარტიულ თემაზე დაბეჭდილი წერილების დიდი უმრავლესობა მიძღვნილია მხოლოდ პარტიული განათლების ქსელის მუშაობისა და სააგიტაციო საქმიანობისადმი.

ასევე ცალმხრივად და კამპანიურად აშუქებენ პარტიულ ცხოვრებას მცხეთის, გულრიფშისა და მთელი რიგი სხვა რაიონული გაზეთები. ეს იმას მოწმობს, რომ ბევრი გაზეთი, მათი მუშაკები სათანადოდ არ იფასებენ პარტიული მუშაობის მრავალფეროვანი საკითხების გაშუქების უაღრესად სერიოზულ მნიშვნელობას. მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებას, მასებში სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ამ თემაზე გაზეთებში ხშირად უნდა იბეჭდებოდეს საფუძვლიანი მასალები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დავიივიწყოთ ისეთი სერიოზული საკითხები, როგორიც არის სამეურნეო დარგში პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობა, წარმოებაში კომუნისტების ავანგარდული როლი, მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმება, პარტიული კრების მომზადება და ჩატარება, სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლი და პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ბევრი სხვა მხარე.

ზოგიერთ რაიონულ გაზეთში პარტიული ცხოვრების რუბრიკით ისეთი წერილები იბეჭდება, რომლებშიც არაფერია ნათქვამი პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შესახებ, მხოლოდ სათაურით, უკეთეს შემთხვევაში წერილის შესავალით ან დასკვნით თუ განსხვავდება ისინი გაზეთში გამოქვეყნებული სხვა მასალებისაგან. რაიონულ გაზეთებში ხშირად გვხვდება კორესპონდენციები სათაურებით „კომუნისტები შრომის ავანგარდში“, „პარტიული ორგანიზაციები უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში“, „პარტიული ორგანიზაცია ახალი ამოცანების წინაშე“ და სხვ. მაგრამ თუ გაეცნობით მათ შინაარსს, დარწმუნდებით, რომ ამ წერილებში ხშირად გვერდი აქვს ავლილი პარტიულ მუშაობას, ნათქვამი არ არის, თუ კონკრეტულად რა საქმიანობას ეწევიან პარტიული ორგანიზაციები წარმატებათა მოპოვებისათვის, როგორ ეხმარებიან კომუნისტებს, როგორ რაზმავენ მათ და ყველა მშრომელს დასახული ამოცანების შესასრულებლად.

კაჭრეთის რაიონულმა გაზეთმა „სოციალისტურმა მემინდვრეობამ“ მიმდინარე წლის 28 თებერვლის ნომერში გამოაქვეყნა სოფელ იორმუღანლოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნის ს. კაიბოვის წერილი „ვიბრძოლოთ ნამატის მიღებისა და გაზრდისათვის“. ამ საკმაოდ მოზრდილ წერილში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი პარტიული მუშაობის შესახებ, იმაზე, თუ რას აკეთებს პარტიული ორგანიზაცია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის, როგორ რაზმავს კოლმეურნეებს ამ ამოცანის გადასაწყვეტად.

როგორც ჩანს, ამ წერილის დაბეჭდვა პარტიული ცხოვრების რუბრიკით იმიტომ გადაწყვიტეს, რომ მასში რამდენიმე ადგილას დასახელებულია კომუნისტების გვარები და ერთ ადგილში კი ნათქვამია, პარტიულმა კრებამ 21 იანვარს განიხილა დოლიანობისათვის მზადების საკითხი, სადაც აღინიშნა შეუწყნარებელი მდგომარეობა. მიღებული საქმიანი დადგენილების შემდეგ გვატარეთ ქმედითი ზომები და ამჟამად ცხვრის დოლიანობისათვის ყველა პირობაა შექმნილი.

მსგავსი მაგალითების დასახელება შეიძლება ჩხოროწყუს, ადიგენის და მთელი რიგი სხვა გაზეთების მუშაობის პრაქტიკიდანაც.

სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა, მათი ღვიძლი საქმეა. ამ საკითხზე გაზეთებმა სისტემატურად უნდა წერონ. მაგრამ პარტიულ თემაზე დაწერილი მასალები აუცილებლად უნდა განსხვავდებოდეს სამეურნეო ხასიათის საკითხებზე დაბეჭდილი კორესპონდენციებისაგან.

ზოგი გაზეთი ხშირად აქვეყნებს წერილებს პარტიულ თემაზე, აშუქებს შინაპარტიული მუშაობის თითქმის ყველა საკითხს. მაგრამ ამ წერილების დიდი ნაწილი მშრალი და ერთფეროვანია, გადატვირთულია ზოგადი ფრაზებით, მოყვანილი არ არის პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური საქმიანობის ამსახველი ცოცხალი და საყურადღებო მაგალითები. მთავარი კი ის არის, რომ ამ წერილებში გვერდი აქვს ავლილი ნაკლოვანებათა გაბედულ მხილებას, განზოგადებული არ არის მოწინავეთა გამოცდილება.

„პარტიული ორგანიზაციების სადღეისო ამოცანა“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა მოწინავე წერილი დუშეთის რაიონულმა გაზეთმა „სტალინური გზით“ მომდინარე წლის 17 იანვრის ნომერში. ამ წერილში, რომელიც მიძღვნილია სააგიტაციო-პროპაგანდისტული საქმიანობისადმი, ადგილობრივი ცხოვრებიდან არც ერთი ფაქტი არ არის დასახელებული. წერილში გვერდი აქვს ავლილი იმ ამოცანებს, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ პარტიულ ორგანიზაციებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად დაუსახეს. წერილი თავიდან ბოლომდე ზოგადი ფრაზებით არის სავსე. ასეთი ნაკლოვანებანი აქვთ ზუგდიდის და სხვა რაიონულ გაზეთებსაც.

დასახელებული ნაკლოვანებანი ნათლად მეტყველებენ, რომ ზოგიერთი რაიონული გაზეთის მუშაკები კარგად ვერ ერკვევიან პარტიული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებში, საკმაოდ არ იცნობენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიურ ცხოვრებას.

რაიონული გაზეთების მუშაობის არადამაკმაყოფილებელი დონე, კერძოდ, პარტიული ცხოვრების გაშუქებაში არსებული ნაკლოვანებანი, უწინარეს ყოვლისა იმით უნდა აიხსნას, რომ პარტიის რაიონული კომიტეტები ჯერ კიდევ საკმაოდ არ ხელმძღვანელობენ თავიანთ გაზეთებს, არ ეხმარებიან მათ მუშაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჯერ კიდევ 1940 წელს თავის დადგენილებაში „რაიონული გაზეთების მუშაობის შესახებ“ აღნიშნავდა, რომ პარტიის რაიონული კომიტეტების პირველმა მდივნებმა პირადად უნდა უხელმძღვანელონ რაიონულ გაზეთებს, ყოველდღიურად ადევნონ თვალყური მათს შინაარსს და წარმართონ მათი მუშაობა რაიონის წინაშე მდგომი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად. პარტიის რაიკომების პირველმა მდივნებმა სისტემატურად უნდა იხელმძღვანელონ პარტიის ამ მითითებით.

რაიონული გაზეთები, რომლებიც ყველაზე ახლო დგანან სოფლის მშრომელებთან, მოწოდებული არიან ღრმად და ყოველმხრივ გააშუქონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო ბრძოლა. გაზეთები მტკიცედ უნდა ედგნენ გვერდში პარტიულ ორგანიზაციებს, უფრო შინაარსიანად, მიმზიდველად გააშუქონ პარტიული ორგანიზაციების ცხოვრება და საქმიანობა, დარაზმონ მასები პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

ჯ. სიხარულიძე.

მშენებლები თუ მნგრეველები?!

ხულოს რაიონულ ცენტრში იდგა კულტურის სახლის დიდი და ლამაზი, არქიტექტურულად გაფორმებული შენობა. იგი ხუთასამდე მაყურებელს იტევდა და თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ კულტურის სახლი კულტურულად გამოიყურებოდა — სცენა, მაყურებელთა დარბაზი, ფოიე, სარეპეტიციო და გრიმების ოთახი, ელექტროდაფა და სხვა ატრიბუტები — ყველა თავის ადგილას იყო მოწყობილიც და დანიშნულებისამებრ გამოყენებულიც, მაგრამ...

რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მითითებით დაიწყეს კულტურის სახლის გადატიხვრა, კარების ამოქოლვა, შენობის კორპუსის გარშემო პატარ-პატარა მახინჯი სახლების მიშენება, სარეპეტიციო და სხვა ოთახების საცხოვრებელ ბინებად, კინოთეატრად, დაწესებულებების ხელმძღვანელთა სამუშაო კაბინეტებად და ათას სხვა რამედ გადაკეთება, მიშენებულის დაშლა და კვლავ მიშენება, გადაკეთებულის კვლავ გადმოკეთება და ა. შ. ამასთან ყველაფერი ეს კეთდებოდა უგეგმოდ და უპროექტოდ.

ჯერ კულტურის სახლის წინა ფასადს მიადგეს კინოთეატრად წოდებული უშნო შენობა, შემდეგ მიშენებულს კიდევ მიაშენეს უფრო უშნო სახლი, რომელსაც „კინოთეატრის მოსაცდელი“ შეარქვეს. შარშან რაიონის ხელმძღვანელებმა დაიწუნეს მიშენებულიც და მიშენებულზე მიშენებულიც, გადაწყვიტეს მოეხდინათ „რეკონსტრუქცია“ და გასცეს განკარგულება დაენგრიათ „მოსაცდელი“, ხოლო კინოდანადგარი სხვაგან გადაეტანათ. ამ განკარგულების შესრულებაზე 16 ათასი მანეთი დაიხარჯა, დაშლილი „მოსაცდელის“ თუნუქის სახურავი და ფიცრები კი „დაიკარგა“.

არც ამან დააკმაყოფილა ახირებულ მშენებელთა თუ მნგრეველთა „განსაკუთრებული გემოვნება“. გაჩაღდა კულტურის სახლის შენობის კედლის ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე ადგილას განგრევა, კარების „დაყრუება“ და სხვაგან გამოჭრა, ოთახების შეერთება და მათი სახელწოდების (ე. ი. დანიშნულების) შეცვლა. მალე მშენებლებმა თუ მნგრეველებმა გაანგრიეს სარეპეტიციო ოთახის კედელი და ამნაირად იგი შეუერთეს კინოთეატრს, მოხსნეს ელექტროდაფა, რომელიც წარმოდგენების დროს სცენას აშუქებდა, დრამატული წრის წევრებს კი ურჩიეს პირდაპირ დარბაზში, მაყურებელთა თვალწინ გაეკეთებინათ გრიმები, მოერგოთ ტანსაცმელი და როცა როლის შესრულების ჯერი დაუდგებოდათ, პარტერიდან პირდაპირ სცენაზე ასულიყვნენ. ასეთმა უცნაურმა რჩევამ დრამატული წრის წევრებიც და მაყურებლებიც დიდად გააკვირვა, ხოლო „რეკონსტრუქციაზე“ კიდევ 13 ათასი მანეთი დაიხარჯა.

გავიდა რამდენიმე დღე და კულტურის რაიონული განყოფილების გამგეს ამხ. თავართქილაძეს კინოთეატრი აღარ მოეწონა „უმოსაცდელოდ“. კულტურის სახლში არსებულ სბავშვო ბიბლიოთეკას ორივე ფანჯარა ამოუქოლეს, მიადგეს მოსაცდელად წოდებული ოთახი, ბიბლიოთეკა კი ისე ჩააბნელეს, რომ არათუ წიგნის წაკითხვა, არამედ მაგიდის დანახვაც არ შეიძლება. შემდეგ კვამლსადენის გასაყვანი ადგილიც ამოავსეს. ბიბლიოთეკაში სიბნელესთან ერთად სიცივემაც დაისადგურა და იგი ნესტიან სარდაფად იქცა. „მოსაცდელის რეკონსტრუქცია“ კი 20 ათასი მანეთი დაჯდა.

ამგვარ მიშენება-მოშლაზე დახარჯულია იმდენი თანხა, რომლის გონივრული გამოყენებით მშვენივრად შეიძლებოდა კარგი კინოთეატრის აგება. მაგრამ ახირებული მშენებლები ამას არაფრად არ აგდებენ. კვლავ გაგრძელებენ „შეტევას“ კულტურის სახლის შემდგომი დამახინჯებისათვის და გაუმართლებლად ხარჯავენ სახელმწიფო სახსრებს.

დროა ამ უცნაურ „ვარჯიშს“ ბოლო მოეღოს.

კ. ბასრიძე.

გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების“ მწველავი მ. ბერიაშვილი გულმოდგინედ უვლის ძროხებს და დღეითიდე აუმჯობესებს თავის საწარმოო მაჩვენებლებს. **სურათზე:** მ. ბერიაშვილი მისთვის მიჩენილ ძროხასთან, რომელმაც გასულ წელს 4.500 ლიტრი რძე მოიწველა.

ფოტო მ. თედიაშვილისა.

ფართოვდება სავაჭრო ქსელი სოფლად

ხულო. (საკ. კორ.). ყოველწლიურად უმჯობესდება ხულოს რაიონის მშრომელთა სავაჭრო მომსახურება. ახლა რაიონში არ მოიპოვება ისეთი სოფელი, სადაც არ იყოს სასოფლო მაღაზია, პურსაცხობი ან სავაჭრო წერტილი. პურსაცხობი აშენდა სოფელ ყინჩაურში, შენდება აგრეთვე შორეულ სოფელ ხიხაძირში. იქვე მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა სოფლის უნივერმაღი. ახალი სასოფლო მაღაზია შენდება წაბლანასა და დიდაჭარაში. დიდაჭარაში, ღორჯომსა და ტუნაძეებში წელს ამუშავდება პურსაცხობები. რაიონის ცენტრში შენდება ცენტრალური სასაქონლო და ნავთის საწყობები.

ახალი საცხოვრებელი სახლი

ცხაკაია. (საკ. კორ.). რუსთაველის ქუჩაზე დამთავრდა მშენებლობა სამსართულიანი საცხოვრებელი სახლისა, რომელიც გათვალისწინებულია ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის.

სახლი 18-ოთახიანია. მშენებლობაზე დაიხარჯა 480 ათასი მანეთი.

კოლმეურნეები სახლებს იშენებენ

ახალციხე. (საკ. კორ.). დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ი. ჩიტაშვილმა, პ. ხითარიშვილმა, პ. თელიაშვილმა, ლ. ჩიტაშვილმა, ს. ხითარიშვილმა საკუთარი დანაზოგით აიშენეს ორსართულიანი 4-5-ოთახიანი სახლები.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ კოლმეურნეობაში 69 კოლმეურნემ აიშენა ასეთი სახლი.

უცხოეთის გამოხმაურებანი

საბჭოთა მთავრობის 31 მარტის ნოტაზე საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი

ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნით სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან ევროპის ხალხები და მთელი მსოფლიოს ხალხები. კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის გეგმას, რომელიც საბჭოთა კავშირმა ბერლინის თათბირზე შეიტანა თავისი პროექტით „სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპაში კოლექტიური უშიშროების შესახებ“, აქტიურად დაუჭირეს მხარი მთელი რიგი სახელმწიფოების მთავრობებმა, აგრეთვე მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა. ეს არც გასაკვირველია, რადგან ამ წინადადებაში ისინი ხედავენ მშვიდობის განმტკიცების გამოუყენებელ შესაძლებლობებს. დასავლეთის სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა, როგორც ცნობილია, ბერლინის თათბირზე წამოაყენეს მოსაზრებანი ამ პროექტის წინააღმდეგ.

31 მარტის ნოტაში საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი საბჭოთა მთავრობამ, დასავლეთ სახელმწიფოთა სურვილის შესაბამისად, განაცხადა, რომ იგი „ვერ ხედავს დაბრკოლებას, რომ დადებითად გადაწყდეს „ევროპაში კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულებაში“ ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობის საკითხი“. საბჭოთა მთავრობამ ნოტაში პასუხი გასცა დასავლეთის სახელმწიფოთა სხვა მოსაზრებასაც, რომელიც დაკავშირებულია კოლექტიური უშიშროების სისტემაში „ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის“ ადგილსა და როლთან, გამოთქვა „მზადყოფნა დაინტერესებულ მთავრობებთან ერთად განიხილოს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებაში სსრ კავშირის მონაწილეობის საკითხი“.

კომენტარს უკეთებდა რა საბჭოთა ნოტას, იტალიური გაზეთი „უნიტა“ წერდა: „საქმე ეხება იმ პოზიციის ლოგიკურ განვითარებას, რომელიც საბჭოთა კავშირმა ბერლინის თათბირზე და უკანასკნელ კვირეებში დაიკავა ევროპის კოლექტიური უშიშროების კონცეპციის გამარჯვების მიღწევის მიზნით... სსრ კავშირმა განაახლა თავისი ინიციატივა დასავლეთში წამოყენებულ შენიშვნების მიხედვით შეთანხმების გასაადვილებლად“.

თითქოს ახლა, ძირითად სიძნელეთა მოსპობის შემდეგ, აღარ იქნებოდა არავითარი მომზეზება ევროპაში კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ საბჭოთა წინადადებების დადებითად განხილვის საქმეში. მაგრამ ვაშინგტონისა და ლონდონის ოფიციალური წრეების პირველი რეაგირება ცხადყოფს, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებმაც აიღეს კარდახშული სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის კურსი, ეძიებენ ახალ საბაბებს, რათა შექმნან დაბრკოლებანი ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის გზაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ნაჩქარევად, რამაც უცხოეთის პრესის ირონიული შენიშვნები გამოიწვია, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მიუღებელია საბჭოთა კავშირის წინადადება ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ. ეს განცხადება, როგორც სამართლიანად აღნიშნავს დასავლეთის ქვეყნების პრესის ბევრი ორგანო, ამყოვანებს დაბნეულობას და შიშს იმის წინაშე, რომ დაიწყოს საბჭოთა გეგმის განხილვა. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ამჯობინა თავი აერიდებინა საბჭოთა კავშირის წინადადებათა არსებითად განხილვისათვის. მან განაცხადა, რომ „საბჭოთა ახალი წინადადებანი იწვევენ ძირეულ საწინააღმდეგო მოსაზრებებს, რომლებიც უკვე იყო გამოთქმული ბერლინში“. ამავე დროს ცხადია, რომ მხოლოდ კოლექტიური უშიშროების გეგმის შესწავლისა და განხილვის შედეგად შეიძლება გამოირკვეს, თუ რამდენად ეფექტიან გარანტიას იძლევა ეს გეგმა მშვიდობის განმტკიცებისა და აგრესიის თავიდან აშორებისათვის.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა უფრო ფრთხილი პოზიცია დაიკავა. მან განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა შეისწავლის საბჭოთა ნოტას, კონსულტაციას გასწევს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობებთან, აგრეთვე სხვა უშუალოდ დაინტერესებულ მთავრობებთან. მიუხედავად ამისა, მან თემთა პალატის სხდომაზე გააკეთა „წინასწარი შენიშვნები“. მიბაძა რა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის მაგალითს, იდენმა გულდასმით აუარა გვერდი ნოტაში მოყვანილ წინადადებათა არსს და ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმაზე, რომ საბჭოთა ნოტა ითვალისწინებს ბერლინის თათბირზე დასავლეთის სამი მინისტრის, მათ შორის თვით იდენის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ევროპაში კოლექტიური უშიშროების შესახებ საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ. ამავე დროს იდენმა გაიღაშქრა ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებაში სსრ კავშირის მონაწილეობის იდეის წინააღმდეგ. მან ეს იმით დაასაბუთა, რომ საბჭოთა კავშირი ამ ხელშეკრულებას ახასიათებს როგორც აგრესიულ ხელშეკრულებას, მაგრამ დუმილით აუარა გვერდი იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირის 31 მარტის ნოტაში ნაჩვენებია გზა, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულება აღარ იყოს კარდახშული სამხედრო დაჯგუფება და ნამდვილად მიიღოს თავდაცვითი ხასიათი.

გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“ შემთხვევით რიდი შენიშნავს, რომ, როცა იდენი ცდილობდა დაეცვა ნახელმწიფო დეპარტამენტის მოქმედება, იგი „აშკარად უხერხულ მდგომარეობაში იყო“.

კომენტარები ამერიკული პრესისა, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების ტონით მსჯელობს, არათუ ვერ ასაბუთებენ მის მოსაზრებებს, არამედ კიდევ უფრო ცხადყოფენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ცდას — გვერდი აუარონ კოლექტიური უშიშროების გეგმის არსებითად განხილვას. ეს კომენტარები გარკვევით ცხადყოფენ ამ გეგმის მოწინააღმდეგეთა პოზიციის სისუსტეს. ამერიკული პრესა, ცდილობს რა ჩამოაშოროს ყურადღება საქმის არსს, საბჭოთა კავშირის მოქმედებაში ეძებს საიდუმლო მოტივებს და ხშირად უაღრესად უაზრო ვარაუდებს გამოთქვამს.

საბჭოთა ნოტის მიზანი კი სავსებით ცხადია. საბჭოთა კავშირი სახავს ევროპაში კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნის გეგმას და მოითხოვს მის განხილვას. მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ ამას ერიდებიან ამერიკელი პოლიტიკოსები.

ამერიკული პრესის მოსაზრებებში ჩანს შეშფოთება იმ რეაგირების გამო, რომელსაც უშიშროების უზრუნველყოფის საბჭოთა გეგმა იწვევს მსოფლიოს ხალხთა შორის. მაგალითად, „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ იძულებულია აღიაროს საბჭოთა წინადადებების „მიმზიდველი ძალა“ ევროპის ხალხთა თვალში. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ბონელი კორესპონდენტი შეშფოთებას გამოთქვამს საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიაში საბჭოთა ნოტაზე შესაძლებელი გამოხმაურების გამო. ამასთან დაკავშირებით კორესპონდენტი შენიშნავს, რომ „დოქტორ ადენაუერს დღემდე არასოდეს... ისე მცირე გასაქანი არ დარჩენია მანევრირებისათვის, როგორც ამჟამად“.

გამოთქვამენ რა აზრებს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) საბჭოთა კავშირის შესვლის წინააღმდეგ, კოლექტიური უშიშროების გეგმის მოწინააღმდეგენი თავს იაჭარავებენ და ცხადყოფენ, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულება ახლანდელი სახით კარდახშული სამხედრო დაჯგუფებაა, რომელსაც აგრესიული ხასიათი აქვს და მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ინგლისური გაზეთი „დეილი მირორი“ გულახდილად აღიარებს, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულება ახლანდელი სახით მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „თუმცა დასავლეთ ევროპაში, — წერს ეს გაზეთი სტატიაში საბჭოთა ნოტის შესახებ, — უზრდელობად მიაჩნიათ აშკარად ილაპარაკონ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაზე, როგორც ისეთ ორგანიზაციაზე, რომელიც მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ, სინამდვილეში იგი სწორედ ასეთია“.

ფართო გამოხმაურება, რაც საბჭოთა მთავრობის ნოტამ მთელ მსოფლიოში გამოიწვია, ცხადყოფს, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველმა წრეებმა ვერ შეძლეს ჩამოეშორებინათ საზოგადოებრიობის ყურადღება კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საბჭოთა გეგმისათვის. განსაკუთრებული ინტერესით შეხვდა საბჭოთა წინადადებებს ინგლისის საზოგადოებრიობა. ამას მოწმობს ინგლისის საზოგადოებრიობის სხვადასხვა წრის უარყოფითი გამოხმაურება სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაზე საბჭოთა ნოტის გამო.

ლონდონის გაზეთი „ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ საბჭოთა ნოტა „ეულდასმით შესწავლის ღირსია“, და გმობს სახელმწიფო დეპარტამენტის უარყოფითს დამოკიდებულებას ამ ნოტისადმი.

გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ სიტყვით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნაჩქარევად გამოთქვეს უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა ნოტისადმი, „არ გაითვალისწინეს, როგორც ჩანს, თუ რა შეშფოთება და აღშფოთება შეიძლება გამოიწვიოს ასეთმა ტაქტიკამ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის ქვეყნებში...“

„დეილი ექსპრესი“, აღნიშნავს რა, რომ დიპლომატიის მთავარი მიზანია „არა ის, რომ მოამზადოს შეიარაღებული ძალები ომისათვის, არამედ ის, რომ მიაღწიოს დაძაბულობის შენელებას და აღადგინოს, თუ შესაძლებელია, დიდი სახელმწიფოების თანამშრომლობა, რაც ომის დროს იყო“, წერს, რომ „რუსეთის ახალი ნოტა ძირითადად კეთილსასურველი მოვლენაა, რამდენადაც იგი მოწმობს, რომ რუსები გაურბიან ომს“.

„იორკშერ პოსტი“ მოწონავე სტატიაში აცხადებს, რომ საბჭოთა ნოტაში „სამართლიანად აღნიშნულია, რომ საჭიროა ევროპის ყველა ქვეყნის ეფექტიანი თანამშრომლობა მშვიდობას შენარჩუნებისა და უზრუნველყოფის მიზნით“.

საფრანგეთში პარლამენტის ბევრმა წევრმა ვადაჭრით დაგმო ცდა ხელი ჩაიქნიონ საბჭოთა წინადადებებზე ან გვერდი აუარონ მათ განხილვას.

მთელი რიგი ფრანგული ბურჟუაზიული გაზეთები აკრიტიკებენ იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა უარი თქვა საბჭოთა გეგმის განხილვაზე.

გაზეთ „ფრანს-სუარის“ მიმომხილველი პერტინაქსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის საბჭოთა გეგმაში „არაფერია ისეთი, რაც ეწინააღმდეგებოდეს საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს. პირიქით, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა კი საწინააღმდეგო მიმართულებით ვითარდება“.

მხარს უჭერს რა საბჭოთა მთავრობის ნოტას, გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ „მშვიდობა შეიძლება გადაარჩინოს მხოლოდ კოლექტიური უშიშროების საყოველთაო სისტემამ, რომელიც ერთსა და იმავე დროს შეუძლებელს და ზედმეტს ხდის ანტაგონისტური სამხედრო ბლოკების შექმნას. რაც შეეხება ევროპას, ასეთი სისტემის შექმნა გულისხმობს, რომ ატლანტიკის პაქტმა დაკარგოს სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართული კოალიციის ხასიათი და რომ არ გართულდეს მდგომარეობა რევანშისტული გერმანიის შეიარაღებისა და შეტაკების საშიშროების შექმნის გზით, რაც საბედისწერო იქნებოდა მთელი კაცობრიობისათვის“.

ჟან მორის-ერმანი გაზეთ „ლიბერასიონში“ წერს: „საფრანგეთსა და მთელ მსოფლიოში აქამდე არსებულ ვითარებაში შეთანხმების გზის გამონახვის ყოველგვარი შესაძლებლობა ყურადღების ღირსია...“ „საბჭოთა წინადადების სულისკვეთება, — განაგრძობს მორის-ერმანი, — საკმაოდ ნათელია, და იგი ფართო შესაძლებლობას სახავს დისკუსიისა და შეთანხმებისათვის, რომელებსაც დიდი ხანია ვერ ვითვალისწინებდით“.

კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საბჭოთა გეგმამ, რომელიც „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ალტერნატივას წარმოადგენს, ძალიან გაჯავრა დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები და დასავლეთ გერმანიის რეაქციული პრესა, რომელიც ისტერიული ტონით მოუწოდებს უარყონ ნოტა.

მაგრამ დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა წინადადებების განხილვისათვის უბრალოდ თავის არიდება შეუძლებელია.

ესენის გაზეთი „დი ველტი“ წერს, რომ, წამოაყენეს რა თავიანთი წინადადებანი, „რუსებმა ხელი აიღეს ინიციატივა საერთაშორისო პოლიტიკაში“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა მიესალმება საბჭოთა ნოტას როგორც საბჭოთა კავშირის ახალ ნაბიჯს კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შესაქმნელად.

გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა ამ ნოტისადმი მიძღვნილი სარედაქციო სტატია, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ამიერიდან ყველა მოსაზრებამ, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოებმა ბერლინის თათბირზე წამოაყენეს ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის წინააღმდეგ, ძალი დაკარგა.

გაზეთი „ნაციონალ-ცაიტუნგი“ მოწონავე სტატიაში წერს, რომ საბჭოთა მთავრობის ნოტას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის უზრუნველსაყოფად ბრძოლისათვის, რადგან იგი კვლავ შეიცავს კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

„საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებებს, რომლებსაც ნოტა შეიცავს, განაგრძობს გაზეთი, — მიესალმებიან გერმანიის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები, რადგან ამ წინადადებათა მიზანია დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის საფრთხის აღკვეთა, აგრეთვე გერმანიის ორივე ნაწილის დაახლოება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შედეგად“.

საბჭოთა ნოტა კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ცხოველ ინტერესს იწვევს აგრეთვე ევროპისა და არაევროპის სხვა ქვეყნებში. ამ ინტერესს დაფარავ არ ძალუძს მემარჯვენე პრესის მტრულ კომენტარებს.

იტალიის პროგრესული გაზეთი „ავანტი“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ „საბჭოთა ნოტა არის და დარჩება ნიშანსვეტი ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ძნელ გზაზე... იგი არის გადამწყვეტი ნაბიჯი, რომელიც საბჭოთა კავშირმა გადადგა, რათა შეიქმნას საფუძველი შეთანხმებისათვის იმ საშუალებათა შესახებ, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ მშვიდობისა და ევროპის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით“.

გაზეთმა „პაეზემ“ გამოაქვეყნა სოციალისტი დეპუტატის რიკარდო ლომბარდის განცხადება. რიკარდომ, კერძოდ, თქვა: „ორი ძირითადი ელემენტი, რომლებსაც შეუძლიათ უდიდესი ნაბიჯი გადაგვდგმევინონ წინ მშვიდობის საქმეში და საერთაშორისო მეგობრობის დაძაბულობის შენელებაში, არის: 1) მოისპოს ყოველგვარი ავრესიული ხასიათი ატლანტიკის პაქტისა, რომელიც, როგორც კი შიგ შევა ნაციზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ომის მონაწილე ყველა ქვეყანა, აღარ იქნება ის, რაც ამჟამად არის, აღარ იქნება იარაღი, რომელიც მიმართულია სწორედ იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც პაქტში არ შედის; 2) დავთანხმდეთ პრინციპზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უნდა გამორიცხონ ევროპიდან და ამიტომ შეუძლიათ საბჭოთა კავშირთან ერთად მონაწილეობა მიიღონ კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციაში“.

„საბჭოთა ნოტას, — წერს შვედური გაზეთი „მორგონ-ტიდნინგენი“, — ხელშეკრულების („ევროპის არმიის“ შესახებ ხელშეკრულების. —რედ.) მოწინააღმდეგენი აფასებენ როგორც ისეთ დოკუმენტს, რომელიც სერიოზულ შესწავლას მოითხოვს“.

კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა პირსონმა, რომელიც 1 აპრილს პარლამენტში გამოვიდა, დიდი ყურადღება მიაქცია საბჭოთა მთავრობის ნოტას. მან გამოთქვა გაფრთხილება იმ ლიტონ განცხადებათა წინააღმდეგ, თითქოს საბჭოთა წინადადებანი „გულწრფელი არ იყოს“.

„დარწმუნებული ვარ, — თქვა პირსონმა, — რომ ახლა არავის არა სურს დაუკონტროლებელ უარყოს რაიმე წინადადება, რომელსაც კი აქვს რაიმე შანსი კარგი შედეგები მოიტანოს“. პირსონმა მოითხოვა განიხილონ საბჭოთა გეგმა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს სესიაზე. პირსონმა რწმენა გამოთქვა, რომ „დასავლეთი თავის თავს ნებას ვერ მისცემს დაუყოვნებლივ და განუხილველად უარყოს ყოველი სერიოზული წინადადება მოწესრიგების შესახებ, რომელსაც ეს წარმოადგენს საბჭოთა კავშირი“.

ინდოეთის გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა წინადადებებისადმი „ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რამდენად ემორჩილებიან დასავლეთის პოლიტიკოსები შეზღუდულ შეხედულებებს, არა სურთ რა აღიარონ, რომ მშვიდობის დამყარების პრაქტიკული საფუძველი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ მაშინ, თუ მოიწონებენ, რომ საბჭოთა კავშირი მონაწილეობდეს უშიშროების სისტემაში, რომელიც ითვალისწინებს საერთო ვალდებულებებსა და შეზღუდვებს“.

ინდონეზიური გაზეთები „ბერიტა ინდონეზია“, „მერდეკა“ და „ინდონეზია რაია“ აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის ნოტაში ჩამოყალიბებულ კონსტრუქციულ წინადადებათა დიდ მნიშვნელობას.

პრესა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა, რომელთა მთავრობებმაც, როგორც ცნობილია, განაცხადეს თანხმობა მონაწილეობა მიიღონ „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულებაში“, მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის ნოტას.

„საბჭოთა კავშირის მთავრობა, რომელიც მშვიდობის თანმიმდევრული პოლიტიკის ერთგულია, — წერს პოლონური გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“, — არც ერთ შემთხვევას არ უშვებს, რომ წინ წასწიოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმე. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია საბჭოთა უკანასკნელი ნოტა დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობებისადმი. საბჭოთა ნოტაში ყველაზე არსებითი ის არის, რომ იგი ახალი წინგადადგმული ნაბიჯია ნამდვილი კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის ბრძოლაში, რომ იგი აფართოებს და ახუსტებს იმ წინადადებებს, რომლებიც მინისტრმა მოლოტოვმა ბერლინის თათბირზე შეიტანა“.

როგორც რუმინული გაზეთი „სკინტეია“ აღნიშნავს, „საბჭოთა მთავრობამ თავის ნოტაში დაამტკიცა, რომ ყოველთვის არის გადაწყვეტილებანი, რომლებსაც შეუძლიათ დააახლოონ დაშორებული, დაპირისპირებული თვალსაზრისებიც კი, თუ არსებობს გულწრფელი სურვილი შეთანხმდნენ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის“.

უნგრული გაზეთი „საბად ნეპი“, კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა ნოტას, წერს, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკის მიზანია არა წინააღმდეგობათა გამწვავება, არამედ იმ საერთო პუნქტებს გამოძებნა, რომლებზეც შეიძლება მოხდეს შეთანხმება.

ჯერ კიდევ საბჭოთა მთავრობის ნოტის გამოქვეყნებამდე გერმანიის ყოფილმა კანცლერმა იოზეფ ვირტმა, ხაზგასმით აღნიშნა რა კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის საბჭოთა გეგმის აქტუალობა, დაგმო უარყოფითი პოზიცია, რომელიც ამ საკითხში დასავლეთის სახელმწიფოებმა დაიკავეს. მაგრამ, განაცხადა მან, „ეს იდეა არ მომკვდარა, — იგი მეტად გრანდიოზული და შორსმჭვრეტელურია და ამიტომ არ შეიძლება გაქრეს“.

ის უდიდესი ყურადღება, რასაც მთელ მსოფლიოს საზოგადოებრიობა საბჭოთა ნოტას აქცევს, ცხადყოფს, რომ კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის გეგმა ამჟამად დღის წესრიგში დგას, როგორც თვით ცხოვრების მიერ დაყენებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი.

(საკვლევი).

ბიბლიოგრაფია

„რუსეთი მოგვესალმა ჩვენ“

ამ რამდენიმე თვის წინათ ლონდონში გამოვიდა ბროშურა „რუსეთი მოგვესალმა ჩვენ“. ბროშურაში ირლანდიელი და ინგლისელი მუშები, მაღაროელები, ხარატები, ინჟინრები, კალატოზები, ზეინკლები, მემანქანეები, დოკერები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით, მოგვითხრობენ თავიანთ შთაბეჭდილებებს სოციალიზმის ქვეყანაზე. დელეგატები ორ კვირას მოგზაურობდნენ და ეცნობოდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებს. იყვნენ მოსკოვში, გემ „სერგეი კიროვით“ იმოგზაურეს ვოლგა-დონზე, რამდენიმე დღე დაჰყვეს სოჭში, მაცესტაში, გაგრასა და ადლერში. სოჭში მათ ინახულეს მეშახტეთა სანატორიუმი. როგორც დელეგატები აღნიშნავენ, ეს სანატორიუმი უაღრესად კეთილმოწყობილია. დელეგატები აღაფრთოვანა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე მრავალმა კეთილმოწყობილმა სასახლესანატორიუმმა და დასასვენებელმა სახლმა, რომლებშიც ისვენებენ მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, ასევე სანატორიუმების მომსახურებამ, კონცერტებმა, სხვადასხვა გასართობმა, რაც დამსვენებლებისათვის ეწყობოდა. ისინი განსაკუთრებით აღაფრთოვან საბჭოთა ადამიანების გულთადმა შეხვედრამ. „საბჭოთა მუშები უაღრესად კულტურული არიან, — წერენ ისინი, — ეს ცხადი გახდა, როცა ვინახულეთ ფაბრიკა-ქარხნებთან არსებული კულტურის საუცხოო სასახლეები. ბედნიერება გვქონდა დავსწრებოდით ფაბრიკის თვითმოქმედი კოლექტივების მიერ გამართულ სამ კონცერტს. ამან განამტკიცა ჩვენი შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა კავშირში ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ საბჭოთა მუშებს განუვითარონ ნიჭი და მისწრაფებანი. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ, ერთობიან და ისვენებენ მუშები საბჭოთა კავშირში“.

უფრო ახლო რომ გასცნობოდნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, ინგლისელმა მუშებმა ინახულეს სხვადასხვა საწარმოში მომუშავე საბჭოთა მუშები, სადილობდნენ მათთან ერთად, დადიოდნენ სასურსათო საწყობებში, იწერდნენ და ადარებდნენ აქ არსებულ ფასებს თავიანთი ქვეყნის პროდუქტების ფასებს. სოჭში და სხვა საბჭოთა კურორტებზე ყოფნისათვის დელეგაციას შესაძლებლობა ჰქონდა დარწმუნებულიყო, რომ სურსათის საკითხი საბჭოთა კავშირში პრობლემას არ წარმოადგენს. ინგლისელი მუშები წერენ: „საბჭოთა ადამიანები სავსებით ჯანსაღად გამოიყურებიან, მათ კარგი კვება აქვთ, განსაზღვრული ნორმები როდი აქვთ დაწესებული. საბჭოთა კავშირში რესტორანებსა და მუშათა სასადილოებში კერძ

ᲞᲝᲚᲘᲐᲞᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲠᲝᲛᲘ, 4 აპრილი. (საკდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა პალმირო ტოლიატიმ გაზეთ „პაეზე სერას“ წარმომადგენელს გაუკეთა განცხადება დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობებისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტასთან დაკავშირებით.

ტოლიატიმ, კერძოდ, თქვა: „საბჭოთა წინადადება დროულია, და შეიძლება ვისურვოთ, რომ იგი გახდეს არა მარტო მნიშვნელოვანი წვლილი საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომი შენელების საქმეში, არამედ აღნიშნული წინადადებით კონკრეტულად დაიწყოს ამ ურთიერთობის ახალი პერიოდი...“

„ცივი ომის“ წარმოების, საერთაშორისო ვაჭრობისათვის დაბრკოლებათა შექმნის, ხალხთა შორის სიძულვილის პროპაგანდისა და მუდმივი პროვოკაციების იმპერიალისტურ მეთოდს, — განაცხადა ტოლიატიმ, — მოჰყვა ის, რომ მესამე მსოფლიო ომის დაწყება გარდუვალი და მოახლოებულიც კი გვეგონა.

ახლა, პირიქით, შესაძლოდ გვეჩვენება, რომ დაადგებიან სხვა გზას, რომელიც გამორიცხავს ახალი კონფლიქტის საფრთხეს და უზრუნველყოფს ნორმალური ურთიერთობის დამყარებას ხალხთა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის საფუძველზე. ბერლინის თათბირი პირველი ნაბიჯი იყო ამ სწორი მიმართულებით. მაგრამ მისი შედეგები ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო, იმიტომ, რომ ამერიკის იმპერიალიზმის წარმომადგენლებმა ყოველივე შესაძლებელი გააკეთეს, რათა ხელი შეეშალათ კონკრეტულ ღონისძიებათა მიღებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის ნამდვილ შენელებას.

ახლანდელი საბჭოთა წინადადება კიდევ უფრო აუმჯობესებს ვითარებას, სპობს უკანასკნელ დაბრკოლებებს, აყარწყლებს ყველა ხელოვნურ მოსაზრებას, რომლებიც ომის პოლიტიკის მომხრეებმა წამოაყენეს. ამ წინადადების მნიშვნელობა ის არის, რომ იგი იძლევა კონკრეტულ შესაძლებლობას საბოლოოდ უარყოფილ იქნას გზა, რომელიც მთელი მსოფლიოს გათიშვისა და ომისაკენ მიდის... ბოლოს, ეს წინადადება წამოყენებულია იმ მომენტში, როცა ამას წინათ ატომის აფეთქებებმა კონკრეტულად დაანახვა ყველას, რომ ახალი საერთაშორისო კონფლიქტი ამჯერად იქნებოდა ცივილიზაციის დაღუპვა. მაშასადამე, პოლიტიკა, რომელიც იწვევს ახალ კონფლიქტს, ე. ი. ძალის, დაშინების, პროვოკაციების პოლიტიკა, სამხედრო ბლოკებისა და არმიების შექმნის პოლიტიკა, რომელთა მიზანია აგრესია, უნდა დაგმოს ყველამ, იგი სამუდამოდ უარყოფილ უნდა იქნას...

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა წინადადებას განიხილავენ და განაზორციელებენ და, ამრიგად, ბოლოს, მიღწეულ იქნება შედეგები, რომლებიც შექმნიან ურთიერთშეთანხმების, ურთიერთნდობისა და მშვიდობის საერთაშორისო პოლიტიკის დადებითს საფუძველს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო იმედი არ კმარა. სწორედ ხალხებმა, მილიონობით ადამიანთა მასებმა უნდა აიძულონ მმართველნი ანგარიში გაუწიონ ხალხთა ნებას და საკალდებულოდ მიიჩნიონ იგი...“.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ IV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 3 აპრილი. (საკდესი). დღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეოთხე ყრილობის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

სხდომაზე პირველმ გამოვიდა შრომის გმირი ბ. ჰანე, რომელმაც ილაპარაკა ზენფტენბერგის რკინიგზელთა წარმატებებზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ წარმატებათა მიღწევაში დიდი როლი შეასრულა საბჭოთა რკინიგზელების მუშაობის მოწინავე მეთოდების ფართოდ გამოყენებამ. ორატორმა გაკრიტიკა მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისადმი, მათი რაციონალიზატორული წინადადებებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების არსებული შემთხვევები.

შემდეგ სიტყვა მისალმებისათვის მიეცა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ტოდორ ჟივკოვს, რომელსაც ყრილობის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

ყრილობის მონაწილენი ტაშით შეხვდნენ ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის კოპლენიგის გამოსვლას, რომელმაც ყრილობას გადასცა მისალმება ავსტრიის კომუნისტური პარტიისა და მშრომელებისაგან.

დილის სხდომაზე კამათში გამოვიდნენ კლერი (შვერინის ოლქი), ილზა-მარია კოხი (იენა) და სხვ.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 4 აპრილი. (საკდესი). გუშინდელი საღამოს სხდომის დასაწყისში ყრილობას მიესალმა მძიმე მრეწველობის მუშაკთა დელეგაცია. დელეგაციის წევრებმა პირობა მისცეს ყრილობის მონაწილეთ, რომ მძიმე მრეწველობის მუშაკებს, ისევე როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით პარტიისა და მთავრობის ახალი კურსის განხორციელებისათვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძლიერების განმტკიცებისა და შრომელთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო კამათში პირველმა ილაპარაკა ჰერტრუდა ნოლტემ (კოტბუსის ოლქი), რომელმაც განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალებს თავიანთ ამოცანად ის მიაჩნიათ, რომ კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავიანთი შვილებისათვის ახალი, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში.

შემდეგ სიტყვა მიეცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს დელეგატ ბ. ლაიშნერს.

ხაზგასმით აღნიშნა რა, თუ რა მნიშვნელობა აქვს დაგეგმვას სახალხო მეურნეობაში, იგი შეეხო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობას და ანალიზი გაუკეთა მისი საქმიანობის წარმატებებსა და ნაკლოვანებებს.

თავმჯდომარემ მისალმებისათვის სიტყვა მისცა ალბანეთის შრომის პარტიის წარმომადგენელს მ. პრიფტს, რომელმაც ყრილობის მონაწილეთ წარმატება უსურვა მუშაობაში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. ცილერის გამოსვლა მიეძღვნა წარმოების ორგანიზაციის, შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის შეჯიბრების შემდგომი გაჩაღების საკითხს.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საწარმოო წარმატებანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების საწინდარია.

ყრილობის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის, პოეტის და მშვიდობისათვის მებრძოლი ბ. ბეხერის სიტყვა. მისი სიტყვა მიეძღვნა კულტურულ მშენებლობას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და სრულიად გერმანიის თანამშრომლობას კულტურის დარგში.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე სხვა დელეგატები.

ხვალ ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

ᲣᲜᲓᲠᲔᲚᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲣᲜᲓᲠᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-9 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 4 აპრილი. (საკდესი). დღეს უნგრელი ხალხი აღნიშნავს საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების მე-9 წლისთავს.

დილით ბუდაპეშტში ი. ბ. სტალინის სახელობის მოედანზე გაიმართა უნგრეთის სახალხო არმიის ნაწილების პარადი. მთავრობის ტრიბუნაზე იმყოფებოდნენ უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სამდივნოს წევრები ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მატიას რაკოშის მეთაურობით, უნგრეთის მთავრობის წევრები მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იმრე ნაგის მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იშტვან დობი და სხვები.

სტუმრების ტრიბუნებზე იყვნენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავეები, უნგრეთის მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთში ე. დ. კისლიოვი, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

უნგრეთის თავდაცვის მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა იშტვან ბატამ, რომელმაც პარადი მიიღო, სიტყვა წარმოთქვა.

გუშინ უნგრეთის საწარმოებში, დაწესებულებებში, სოფლებსა და სასწავლებლებში გაიმართა საზეიმო სხდომები და სადღესასწაულო საღამოები. დღეს გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა მეომრების — განმათავისუფლებლების ძეგლის კვარცხლბეკი.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 4 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ დაამთავრა განათლების სამინისტროს მომდინარე წლის ბიუჯეტის განხილვა. აღნიშნული ბიუჯეტის მიღებით დამთავრდა ყველა პრობლემის განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია საფრანგეთის 1954 წლის საერთო ბიუჯეტთან, ეს განხილვა დაიწყო ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში. განათლების სამინისტროს ბიუჯეტი დამტკიცებულია 280 მილიარდი ფრანკის რაოდენობით, რაც შეადგენს სახელმწიფო ხარჯების 7,3 პროცენტს.

განათლების სამინისტროს ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მოამზადა ეროვნული კრების საფინანსო კომისიამ, სამჯერ უარყო დეპუტატთა უმრავლესობამ და კომისიას დაუბრუნდა დასამუშავებლად. ამის მიზეზი ყოველთვის ის იყო, რომ განათლების საჭიროებისათვის ბიუჯეტის პროექტი სრულიად უმნიშვნელო სახსრებს ითვალისწინებდა. ეროვნულ კრებაში ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ითხუჯრ გამოაცხადეს გაფიცვა და მოაწყეს დემონსტრაციები, ამასთან პროტესტს აცხადებდნენ განათლებისათვის არასაკმარის ასიგნობათა წინააღმდეგ.

მთავრობა იძულებული იყო ხუთჯერ შეეტანა შესწორებანი ბიუჯეტის პროექტში. ეროვნულ კრებაში ყველაზე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა მასწავლებელთა ხელფასის საკითხზე. კომუნისტი დეპუტატები აღნიშნავდნენ, რომ მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე სხვა სახელმწიფო მოსამსახურეთა მდგომარეობა. მაგალითად, მასწავლებელი თვეში 30 ათას ფრანკს იღებს, „რესპუბლიკის უშიშროების რაზმელ“ პოლიციელს კი 60-70 ათასი ფრანკი ეძლევა. კომუნისტი დეპუტატები მოითხოვდნენ, რომ ბიუჯეტი გადიდდეს 350 მილიარდ ფრანკამდე, რითაც შესაძლებელი იქნება განათლების სისტემის გადაუდებელ საჭიროებათა დაკმაყოფილება.

ბიუჯეტის პროექტმა ბევრი დეპუტატის უკმაყოფილება გამოიწვია. ბიუჯეტის წინააღმდეგ ხმა მისცა 249 კაცმა — კომუნისტებმა, სოციალისტებმა, რადიკალთა ნაწილმა და მთელმა რიგმა სხვა დეპუტატებმა.

ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲘ ᲞᲣᲡᲐᲜᲨᲘ

ᲨᲐᲜᲮᲐᲘ, 3 აპრილი. (საკდესი). ტოკიოდან მიღებული ცნობებით, პუსანის ქოხმახებში ხანძრის შედეგად დაიღუპა 37 კორეელი; 4 ათასზე მეტი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა. დაიწვა აგრეთვე სამხრეთ კორეის რამდენიმე სამხედრო საწყობი.

სურათზე: თამაშის ერთ-ერთი მომენტი მოსკოვის „სპარტაკის“ კართან.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲣᲚᲐ

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ორი უძლიერესი კოლექტივის — მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ 4 აპრილის შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევდა. მატჩის დაწყებამდე ჯერ კიდევ ერთი საათით ადრე სტადიონის იარუსები სავსე იყო მაყურებლებით.

ნაშუადღევის 4 საათია. მოედანზე გამოვიდნენ გუნდები. მათ წინ მიუძღოდნენ მრავალ ასპარეზობაში გამოწრთობილი სპორტსმენები, ამჟამად „სპარტაკისა“ და „დინამოს“ გუნდების უფროსი მწვრთნელები სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. სოკოლოვი და ბ. პაიკაძე. ალამი აღმართეს კაპიტნებმა ნ. დემენტიევმა და ა. ღოღობერიძემ.

საკავშირო კატეგორიის მსაჯის ე. საარის სასტვენის ხმაზე დაიწყო თამაში. პირველი წუთებიდანვე ცხადი გახდა, რომ ორივე კოლექტივის ფეხბურთელები ზედმეტად ნერვიულობდნენ, არ იგრძნობოდა მათთვის ჩვეული თამაშის შესანიშნავი ტექნიკა, ტაქტიკა.

თანდათანობით ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა, რომლებიც უტევდნენ მარჯვენა ფრთიდან, სადაც აქტიურობდა კოტრიკაძე. მე-15 წუთამდე დინამოელებს ხელსაყრელი მომენტები ჰქონდათ, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს.

მალე სპარტაკელები კონტრიერიშზე გადავიდნენ. თავდამსხმელთა ხუთეულიდან განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბ. ტატუშინი, ა. ილინი, ნ. დემენტიევი. მე-19 და 38-ე წუთზე თბილისელთა კარი გადარჩა გოლს.

პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც მარჯვენა ფრთიდან სპარტაკელთა საჯარიმო მოედანზე შეიჭრა კ. გაგნიძე. კართან სახიფათო მომენტი შეიქმნა, ერთ-ერთი დამცველი ბურთზე დაეცა, ხოლო შემდეგ ხელით მოიგერია. გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა. დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. ა. ღოღობერიძემ გახსნა ანგარიში.

45-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ 1:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში სპარტაკელები უტევდნენ. მე-7 წუთზე შუამარბი ნ. სიმონიანი 9-10 მეტრის დაშორებით პირისპირ აღმოჩნდა მეკარე მარდანიასთან, თითქოს უდავო გოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სანამ სიმონიანი ბურთზე ძლიერი დარტყმისთვის ემზადებოდა, მას მიუსწრო ელოშვილმა და გადაარჩინა კარი. მე-14 წუთზე მეტად სწრაფი და შესანიშნავი ტექნიკის მქონე ტატუშინი შეიჭრა დინამოელთა საჯარიმო მოედანზე და გაათანაბრა ანგარიში.

ბრძოლა თითქოს ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ბოლო წუთებში ა. ღოღობერიძე მთელი სისწრაფით გაიჭრა მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედნისაკენ. ძლიერი დარტყმა მოიგერია მეკარე ვ. ტუჩკუსმა, მაგრამ შემდეგში მანვე და დამცველმა ი. სედოვმა დაუშვეს შეცდომა. ეს მომენტი კარგად გამოიყენა ა. ღოღობერიძემ, რომლის მიერ დარტყმული ბურთი მიიღო კალოევმა და ძლიერი დარტყმით გაადიდა ანგარიში.

ეს პასუხსაგები ასპარეზობა მოიგეს თბილისის დინამოელებმა ანგარიშით 2:1 და პირველი ორი ქულა მოიპოვეს.

* * *

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტადიონზე, კერძოდ მის შესასვლელებში დაცული არ იყო წესრიგი. მრავალი მაყურებელი, რომელსაც შეძენილი ჰქონდა ბილეთი, სტადიონის გარეთ დარჩა. ადგილი ქონდა ბილეთებით სპეკულაციას.

Თ. ᲒᲐᲒᲔᲚᲘᲐ.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲛᲑᲐᲫᲝᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

საქართველოში სამ დღეს იყო სტუმრად ინგლისის თამბაქოს მრეწველობის მუშათა პროფკავშირის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ამ პროფკავშირის თავმჯდომარე დუგლას ბაური და გენერალური მდივანი პერსი ბელჩერი, ლონდონის, ბრისტოლის, ნოტინჰემის, გლაზგოს და ინგლისის სხვა ქალაქების თამბაქოს ფაბრიკების მუშები.

დელეგაციის წევრები იყვნენ თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში, შამპანური ღვინოების ქარხანაში, ინახულეს ქალთა მე-19 საშუალო სკოლა, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, გაეცნენ საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს. თბილისის კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ სტუმრებს უჩვენეს დოკუმენტალური ფერადი ფილმი „საბჭოთა საქართველო“. დელეგაცია იყო აგრეთვე ქალაქ გორში, სადაც ინახულა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა ა. მ. გორკის სახელობის კლუბში დელეგაციის შეხვედრამ თბილისის პროფკავშირულ აქტივთან. სტუმრებს მიესალმა სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარე ს. მიქელაძე. საპასუხო სიტყვები წარმოთქვეს დუგლას ბაურმ და პერსი ბელჩერმა, რომლებმაც დელეგაციის სახელით მადლობა გამოთქვეს გულითადი მიღებისათვის.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა კონცერტი თბილისის სასურსათო საქონლის მრეწველობის საწარმოთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მონაწილეობით.

3 აპრილს ინგლისის თამბაქოს მრეწველობის მუშათა პროფკავშირის დელეგაცია სოჭში გაემგზავრა. სტუმრები გაეცალენ თბილისის პროფკავშირული ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
რ. ᲫᲣᲠᲪᲘᲙᲘᲫᲔ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 16 აპრილს დღის 2 საათზე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ალექსი არჩილის-ძე ტიკაძე** დაიცავს დისერტაციის თემაზე: „ქსანთიბის დიატომიტის ადსორბციულ-სტრუქტურული გამოკვლევა“.

ოფიციალური ოპონენტები ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. ერისთავი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი ი. მიქაძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (კაროლ ქ. № 34-36).

ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

6 აპრილს	ჯ. ვერდი — **ᲢᲠᲐᲕᲘᲐᲢᲐ**
7 აპრილს	ხ. ფალიაშვილი — **ᲓᲐᲘᲡᲘ**

(დასაწყისი საღამოს 8 საათზე)

«ᲙᲘᲜᲝᲞᲠᲝᲙᲐᲢᲘᲡ» ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ
ამ დღეებში თბილისის კინოთეატრებისა და კლუბების ეკრანებზე
უშვებს ახალ მხატვრულ ფილმს
ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲖᲔ
სცენარი გ. გრებნერისა, დადგმა ვ. ეისმონტისა, ოპერატორი ბ. მონასტირსკი, კომპოზიტორი ა. ლეპინი, სამეცრის ტექსტი ს. მიხალკოვისა, რეჟისორი ა. ულანცევი, მხატვრები: ბ. დულენკოვი, პ. პაშკევიჩი, ხმის ოპერატორი ვ. ხლობინინი.
ძირითადი მსახიობები: ვ. დორონინი, მ. ბერნესი, ა. ლიტვინოვა, ბავშვები: ვ. პასტუხი, ნ. შორინა, ა. კოპელევი, ფ. სევერინი, ა. კოზლოვსკი.
მოსკოვის გორკის სახელობის კინოსტუდიის ნაწარმოები. 1953 წ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ,

რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექცია 1954 წ. 10 აპრილიდან 10 ივნისამდე საქართველოს სს რესპუბლიკაში აწყობს მთელი ავტომოტოტრანსპორტის, რეზინისშინებიანი ტრაქტორებისა და ავტომისაბმელების ნახევარწლიურ ტექნიკურ დათვალიერებას.

ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები და ავტომანქანების ინდივიდუალური მფლობელები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ შეუდგენენ ავტომოტოტრანსპორტის მომზადებას ტექნიკური დათვალიერებისათვის.

ავტომოტოტრანსპორტი ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში და შეღებული უნდა იყოს, სატვირთო მანქანებს სამ გვერდზე უნდა ჰქონდეთ მათთვის მიკუთვნებული სახელმწიფო ნომრის ნიშნები სტანდარტული ზომისა (სიმაღლე 30 სმ, სიგანე 12 სმ და შტრიხის სისქე 3 სმ).

ტექნიკურ დათვალიერებაზე სახელმწიფო ავტოინსპექტორს უნდა წარედგინოს:

1. ავტომოტომანქანის ტექნიკური პასპორტი, რომელშიც შევსებული უნდა იყოს VI და VII განყოფილებათა სეტები შესრულებული რემონტის, შეცვლილი აგრეგატებისა და გავლილი კილომეტრაჟის შესახებ.

2. სახელმწიფო ბანკის ქვითარი თვითეული ავტომანქანისა და რეზინისშინებიანი ტრაქტორისათვის 5 მანეთის, მოტოციკლისა და ავტომისაბმელისათვის 3 მანეთის გადახდის შესახებ (ფული შეტანილ უნდა იქნას სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე—კარი 12, § 7).

3. „ცნობები ავტომეურნეობის შესახებ“ ტ-1 ფორმით (ტ-1 ფორმის ბლანკები მიღებულ უნდა იქნას რაიონულ სახელმწიფო ავტოინსპექტორებთან).

ტექნიკური დათვალიერება უნდა გაიაროს მთელმა ავტომოტოტრანსპორტმ, მიუხედავად მისი ტექნიკური მდგომარეობისა, რომელიც საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებს აყენილი ჰყავთ აღრიცხვაზე 1954 წლის 10 აპრილამდე.

ქალაქ თბილისში ინდივიდუალური მფლობელნი და ავტომეურნეობანი, რომელთა ავტომანქანების რაოდენობა შეადგენს 3 ერთეულამდე ჩათვლით, ვალდებული არიან თავიანთი კუთვნილი ავტომოტოტრანსპორტი ზემოაღნიშნულ ვადებში წარადგინონ ტექნიკურ დათვალიერებაზე ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციაში, სამოქალაქო ქ. № 1 (9-დან 16 საათამდე ყოველდღე, გარდა ოთხშაბათისა და კვირადღისა).

ავტომოტოტრანსპორტის მქონე ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელნი და ინდივიდუალური მფლობელნი პირადად არიან ვალდებულნი უზრუნველყონ ავტომოტომანქანების აღნიშნულ ვადებში წარდგენა დათვალიერებაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათი წარდგენა შეუძლებელი იქნება, ა. წ. 1 ივნისამდე წერილობით აცნობონ ეს სახელმწიფო ავტოინსპექციას ავტომოტომანქანების აღრიცხვის ადგილის მიხედვით.

ავტომანქანების ტექნიკური პასპორტების ტალონებში სახელმწიფო ავტოინსპექტორები შეიტანენ აღნიშვნებს შესრულებული ტექნიკური დათვალიერების შესახებ. თუ ავტომანქანის ტექნიკური პასპორტის ტალონში ასეთი აღნიშვნა არ იქნა, 1954 წლის 10 ივნისიდან მისი ექსპლოატაცია აიკრძალება.

ის პირები, რომლებიც ავტომოტომანქანებს აღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენენ ტექნიკურ დათვალიერებაზე, მიცემულ იქნებიან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში (დაჯარიმდებიან 300-მდე მანეთით).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსი ᲘᲐ. ᲔᲚᲔᲜᲢᲘ.

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 4 აპრილი. (საკდესი). აქ გამოცხადდა, რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და დანიას შორის ხელმოწერილ იქნა სავაჭრო-საგადასახდელო შეთანხმება.

შეთანხმების შესაბამისად დანია რუმინეთს მიაწვდის თევზს, შესქელებულ რძეს, ლარდს, ღორის ქონს, მარგარინს, თესლს, ფარმაცევტულ საქონელს, ნართსა და სხვა ნაწარმს.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა დანიას მიაწვდის ტრაქტორებს, ქიმიურ პროდუქტებს, მერქანს, ნავთპროდუქტებს, სამკურნალო მცენარეებს, მინას და მინის ნაწარმს, ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

ᲒᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 4 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ჯორჯტაუნიდან (ბრიტანეთის გვიანა) იუწყება, გუშინ დაიპატიმრეს ბრიტანეთის გვიანის გადაყენებული პრემიერ-მინისტრი დოქტორი ჩედი ჯაგანი. მას ბრალად სდებენ საგანგებო დადგენილების დარღვევას.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲕᲘᲚᲰᲔᲚᲛ ᲞᲘᲚᲙᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 4 აპრილი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა გუშინ დარბაზობა გამართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობის გამო. დარბაზობას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხანაგ ა. ი. მიქოიანის მეთაურობით, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და კაპიტალისტური სახელმწიფოების კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის წევრები ოტო გროტევოლისა და ვალტერ ულბრიხტის მეთაურობით, ეროვნული პრემიის ლაურეატები, შრომის გმირები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აქტივისტები და დიპლომატიური კორპუსი.

დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო მოღვაწეები, მათ შორის დემოკრატიული პარტიების, მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

„ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 3 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლიბერასიონი“ იუწყება, „მემარცხენე დამოუკიდებელთა მოქმედების ცენტრის“, „ახალგაზრდა რესპუბლიკის“, ხალხთა განთავისუფლებისათვის მოძრაობისა და პარიზის რაიონის პროგრესული რესპუბლიკელთა კავშირის ფედერაციებმა ერთობლივ სხდომაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს მოქმედების ერთიანობისაკენ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ანდა გერმანიის აღიარებული თუ შენიღბული შეიარაღების სხვა რომელიმე ფორმის წინააღმდეგ ბრძოლაში; ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტისათვის და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობის პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში“